დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

მაია ლაპიაშვილი ((ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

მანანა ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევან ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მაია დოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ეკატერინე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ქეთევანი ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218049083

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გორის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	სოფელი მეჯვრისხევი
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/2342
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	mejvriskhevi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577922548

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 14 მაისის MES 7 25 0000522114 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 16-17 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქ.გორი სოფ.მეჯვრისხევი ქუჩა 35 N1 ქ.გორი სოფ.მეჯვრისხევი - ერთი შენობა-ნაგებობა ქუჩა 43 უბანი 2 - ერთი შენობა-ნაგებობა (მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლება)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქ.გორი სოფ.მეჯვრისხევი ქუჩა 35 N1 - ერთი შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქ.გორი სოფ.მეჯვრისხევი ქუჩა 35 N1 - ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 16 და 17 ივნისს სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

- მართვის სტრუქტურები ფუნქციონირებენ აქტიურად, ასრულებენ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან როლს. არის თანამშრომლობითი გარემო, მაღალი მიმღებლობა.
- სკოლის მიერ მიღებული დამატებითი შემოსავალი სრულად ხმარდება სკოლის განვითარების საჭიროებებს. ფინანსური ანგარიშგება ხდება გამჭვირვალედ და სტრუქტურულად.
- სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მიერ ინიცირებული კლუბები და მხარდაჭერილია შემოქმედებითი აქტივობები.
- სკოლა თანამშრომლობს გარე ორგანიზაციებთან (მაგ., პროფესიული სასწავლებლები, უნივერსიტეტები) და ხელს უწყობს მოსწავლეთა კარიერულ განვითარებასა და პროფესიულ ორიენტაციას, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვისაც.

ზემოაღნიშნული პრაქტიკები მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მოწოდებულია შექმნას უსაფრთხო, ინკლუზიური, განვითარებაზე ორიენტირებული და ღია საგანმანათლებლო სივრცე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 720	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

	*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება) - **ზოგადი განათლების დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები***	
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.(1)	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	*სკოლამ უზრუნველყოს წარმოადგენილი **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით:*** • *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დოკუმენტის მოპოვება **2027 წლის 14 მარტამდე;*** • *ღობის აღდგენა – **2027 წლის 14 მარტამდე***
ინდიკატორი 3.5.1.(3)	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით:*** *1. სკოლის ყველა სივრცესთან წვდომა;* *2. ლიფტის ან სხვა დამხმარე საშუალების მეშვეობით მაღალ სართულებზე მდებარე ინფრასტრუქტურასთან წვდომა.* ***10/07/2025 -დან – 10/07/2027-მდე** პერიოდში*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლ პროგრამა)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
2.2.2.(3)	კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწე უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობ გათვალისწინებით (ზოგადი განათლებ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურ საგანმანათლებლო პროგრამებზე).	*სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფ გეგმის შესაბამისად სპორტული დარბაზის ან/და გარე სპორტული მოედნ მოწყობა* ***10/07/2025-დან – 10/07/2026 -მდე პერიოდში***

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1(4)	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია, გაზიარება მოიცავდეს არა მხოლოდ კომუნიკაციას, არამედ **კულტურული ინტეგრაციის პროცესს**, სადაც სკოლის ფილოსოფია რეალურად ცოცხლდება ყოველდღიურ პრაქტიკაში.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი 3.1.2.(2)	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის მართვის პრაქტიკა პოზიტიური და ფუნქციურია, მიზანშეწონილია, რომ მიდგომა დოკუმენტურად განმტკიცდეს.
ინდიკატორი 3.2.1.(1)	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	შეფასების მექანიზმი აუცილებელია დაყრდნობილი იყოს დოკუმენტურად განსაზღვრულ მეთოდოლოგიაზე; სასურველია მისი გაწერა HR პოლიტიკის ფარგლებში ან სხვა დოკუმენტის სახით.
ინდიკატორი 3.2.1.(2)	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	დადასტურებული პრაქტიკა საფუძვლიანია, მაგრამ სასურველია გეგმების სტრუქტურიზაცია დოკუმენტურად (მაგ. პერსონალის განვითარების წლიური გეგმის სახით).
ინდიკატორი 3.2.1.(4)	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	პრაქტიკის დასტაბილურების მიზნით მიზანშეწონილია ინტეგრაციის წესის დოკუმენტური გაფორმება.
ინდიკატორი 3.4.1.(1)	სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა	სასურველია, სკოლამ მოაწესრიგოს სკოლის ეზოს ნაწილი დამხმარე სერვისების ჩართულობით და აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი 3.4.1.(5)	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სასურველია, ნაგვის გატანაზე ფორმალური ხელშეკრულების გაფორმება, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის პროცესს ადმინისტრაციულ დონეზე.
ინდიკატორი 3.5.1.(2)	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სასურველია: 1. ბიბლიოთეკარმა შეიმუშავოს საქმიანობის წლიური გეგმა და უზრუნველყოს ანგარიშგების წესი (მაგ., აქტივობების ჟურნალის წარმოება); 2. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესში ასახოს აქტივობების გამართვის პრინციპები და გაწეროს პასუხისმგებლობები; 3. სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რეგულარული განახლება და მოძველებული ნაწილის ჩამოწერა;

		4. წარმოდგენილი იქნას ფლობის სრული დოკუმენტაცია ან/და ჩამოწერის დოკუმენტი; 5. გაგრძელდეს მეორე კორპუსთან დაკავშირებული მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა და მონიტორინგი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადი განათლების საბაზო და საშუალ* *საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	საზოგადოებრივი მეცნიერებები: *საკითხები უნდა იყოს ისე ჩამოშლილი, მკაფიოდ, რომ გარკვევით ჩანდეს თემის ფარგლებში დასამუშავებელი თითოეული მათგანი, მის გასწვრივ კი შესაბამის სვეტებში უნდა იყოს მითითებული: კონკრეტული საკითხის ჭრილში რომელი სამიზნე ცნება და ქვეცნება დამუშავდება, ასევე სასურველი მიეთითოს ის რესურსები, რასაც სკოლა გამოიყენებს კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.*
ინდიკატორი N2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*	ესთეტიკური აღზრდა: *შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისა შესაბამისად მასწავლებლებმა სასურველია უფრო მიზნობრივი, მოქნილი დ კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გახადო შეფასების რუბრიკები.*
ინდიკატორი N2.1.2.5.	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.*	სპორტი: *სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საგნობრივი რუბრიკები კურიკულუმში ასახული მხოლოდ ზოგიერთი თემისათვის, ამიტომაც სკოლას მიეცა რჩევა რათა შეიმუშაოს ყველა თემის შესაბამისი შეფასების მექანიზმი სამივე საფეხურზე.*

ინდიკატორი N2.2.2.3.	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: *სასურველია, რომ სკოლამ მოაწესრიგოს ნარჩენების მართვის სისტემა, რაც მოხდეს კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა საჭირო ქიმიურ რეაქციის უსაფრთხოდ ჩატარება*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების <u>დაწყებითი</u> საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.2.	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;*	დაწყებითი: *მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრ გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, თუმცა ქართულში III და I კლასებში არის თემები, სადაც არ არის დაკონკრეტებული რომელი ცნების ქვეცნების დამუშავება ხდება, განსაკუთრებით ეს ეხება ცნება "გრამატ (პრაქტიკულს)", ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა გაასწოროს აღნიშნული.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია კორესპონდენცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად პირველი სტანდარტი შეფასდა შესაბამისად, მეორე სტანდარტი - მეტწილ შესაბამისად, მესამე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი - შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მთავარ მიმართულებებს.
მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით, მისია ხაზგასმით აღნიშნავს ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარების აღმოჩენასა და განვითარებას, შემოქმედებითი აზროვნების გაღვივებასა და აქტიური, ქვეყნის მომავალზე პასუხისმგებელი მოქალაქის აღზრდას, რაც ეროვნული მიზნების ერთ-ერთ მთავარ ხაზს წარმოადგენს.

სკოლის ხედვა პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს — მიგვითითებს კურსდამთავრებულთა თვითცნობიერებაზე, მოტივაციასა და მათ მზაობაზე, იყვნენ კონკურენტუნარიანები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ამით სკოლა ეხმიანება განათლების სისტემის გრძელვადიან სტრატეგიულ ამოცანებს — მოამზადოს ახალგაზრდა თაობა თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ და შეუწყოს ხელი მათი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას.

სკოლის მიერ დეკლარირებული ღირებულებები — მათ შორის პროფესიონალიზმი, თანამშრომლობა, ტოლერანტობა, ბავშვთა უფლებების დაცვა, ინოვაციურობა, კრიტიკული აზროვნება, ღიაობა, მიმღებლობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა — სრულ თანხვედრაშია განათლების პოლიტიკის პრინციპებთან, რომლებიც ემყარება დემოკრატიულობას, ინკლუზიურობასა და ყოვლისმომცველ განვითარებას.

1.1.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ ასახავს იმ მისწრაფებას, რომ საგანმანათლებლო გარემო იყოს უსაფრთხო, მოსწავლეზე და მის ინდივიდუალურ განვითარებაზე ორიენტირებული. მისია ხაზს უსვამს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარებასა და მათი უნარების განვითარებას, რაც ქმნის პიროვნების ზრდისა და თვითრეალიზაციის ხელშემწყობ საფუძველს. ხედვაში გამოხატულია მიზანი, სკოლის სივრცე იქცეს ისეთ გარემოდ, სადაც მოტივირებული და პასუხისმგებლიანი მოსწავლეები მომავლის ხედვით ერწყმიან სოციო-კულტურულ განვითარებას.

სკოლა წარმოაჩენს თავს, როგორც ღირებულებებზე დაფუძნებული, ინკლუზიური და დემოკრატიული სივრცე, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს როგორც აკადემიურ, ისე ემოციურ და სოციალური კომპეტენციების განვითარებას. ღირებულებათა ჩამონათვალი — უსაფრთხოება, სამართლიანობა, ტოლერანტობა, ღიაობა, თანამშრომლობა და ბავშვთა უფლებების დაცვა — ქმნის საფუძველს სოციო-კულტურული გარემოს ჩამოყალიბებისთვის, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდასა და სრულფასოვან მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში.

1.1.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას წარმოდგენილი აქვს ოფიციალური დოკუმენტი – *სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*, რომელიც დეტალურად ასახავს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმირების პრინციპებს, ეტაპებსა და მექანიზმებს.

დოკუმენტში განსაზღვრულია:

- **თანამონაწილეობითი მიდგომა** სამუშაო ჯგუფის მეშვეობით,
- **ინკლუზიური პროცედურები** სხვადასხვა მხარის (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, დირექტორი, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები) ჩართულობით,
- **გამოკითხვის და კვლევის მეთოდოლოგია** ფილოსოფიური კომპონენტების ფორმირებამდე,
- **უკუკავშირისა და განხილვის ეტაპები**, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივი ჩართულობის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

დოკუმენტის თანახმად, პროცესი მოიცავს, როგორც ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის ეტაპებს, ასევე დოკუმენტის განხილვისა და დამტკიცების მრავალსაფეხურიან მოდელს. სკოლის ვებგვერდზე მისიის, ხედვისა და ღირებულებების განთავსება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ღიაობასა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.

შესაბამისად, შეიძლება შეფასდეს, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს **სტრუქტურირებული და მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომა**, რაც უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების *სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე დაფუძნებულ* განვითარებას. არსებული მიდგომა შეესაბამება **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების** და **სტრატეგიული მართვის თანამედროვე პრინციპების** მოთხოვნებს.

1.1.1(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის თვითშეფასების თანახმად, უკვე შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები სხვადასხვა არხით მიწოდებულია სკოლის საზოგადოებისთვის (მაგალითად: დამრიგებლების საშუალებით — მშობლებისთვის, კათედრების დონეზე — პედაგოგებისთვის და ა.შ.). თუმცა არსებული მიდგომა **უფრო მეტად ინფორმაციის გადაცემაზეა ორიენტირებული**, ვიდრე ღირებულებების **გააზრების, ინტეგრაციისა და მიკუთვნების** მიმართულებით გაწერილი სისტემური და უკუკავშირზე დაფუძნებული მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია გავრცელებულია, **სასურველია, იკვეთებოდეს მტკიცებულებები იმის შესახებ**, რომ სკოლის წევრებმა მისია და ღირებულებები არა მხოლოდ მოისმინეს, არამედ ისინი:

- **გააზრებული აქვთ**, როგორც საკუთარი საქმიანობის საზიარო ჩარჩო,
- **მიკუთვნებული აქვთ**, როგორც მათი აზრით მართლაც გამოხატული ხედვა სკოლის მომავლისა,
- და **იყენებენ** პრაქტიკაში გადაწყვეტილებების მიღებისა თუ პროფესიული ქმედებების დროს.

ამ ეტაპზე სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები შეესაბამება იმ განზოგადებულ იდეალს, რასაც ეს ინდიკატორი გულისხმობს.

სკოლას მიეცა *რჩევა*: სასურველია, გაზიარება მოიცავდეს არა მხოლოდ კომუნიკაციას, არამედ **კულტურული ინტეგრაციის პროცესს**, სადაც სკოლის ფილოსოფია რეალურად ცოცხლდება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

1.1.1(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯარო ხელმისაწვდომობას. ისინი გამოქვეყნებულია სკოლის ვებსაიტზე, გამოკრულია სკოლის ფოიეში და კომუნიკაციის სხვა არხებითაც გავრცელებულია. ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს სკოლის ღირებულებითი ჩარჩოს გამჭვირვალობას როგორც სკოლის შიდა, ისე გარე საზოგადოებისათვის. შესაბამისად,

1.1.1(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**
   საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა **საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა**, რაც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებასთან („ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“) და 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებასთან („საჯარო სკოლის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“).
   შესაბამისად, სახელწოდება სრულად ასახავს სკოლის იურიდიულ სტატუსს და ტერიტორიულ კუთვნილებას,
   1.1.1(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

   დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-78 „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები - გამოქვეყნებული სკოლის ვებგვერდზე
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
აღნიშნული მეთოდოლოგია წარმოადგენს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს დაგეგმვის სტრუქტურასა და პროცესს. დოკუმენტში გაწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ფორმირებას წინ უსწრებს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, კვლევის შედეგების ანალიზი და მათი გათვალისწინება სამუშაო ჯგუფის მიერ. ეს მიუთითებს საზოგადოებრივ საჭიროებებზე მორგებულ დაგეგმვის მიდგომაზე.
წარდგენილი მეთოდოლოგია აყალიბებს გეგმების შემუშავების ციკლურ და მონაწილეობით მოდელს. დასტურდება, რომ დაგეგმვის საწყის ეტაპზე ტარდება ინფორმაციის შეგროვება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისგან. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს სამუშაო ჯგუფი, ჩართულია პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები. ეს უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის თანხვედრას პრიორიტეტებთან და ინტერესებთან.

1.2.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარდგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა სრულ შესაბამისობაშია ზემოაღნიშნულ მახასიათებლებთან. დოკუმენტში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნები, ამოცანები, მიმართულებები და პრიორიტეტები, რომლებიც თანხვედრაშია სკოლის ფილოსოფიურ განაცხადთან. სტრატეგია აშკარად ეფუძნება განვითარებაზე ორიენტირებულ ხედვას და მიზნად ისახავს ხარისხიან საგანმანათლებლო სივრცის შექმნას.

შვიდწლიანი გეგმა ასახავს სკოლის ხედვით დადგენილ განვითარებას, გათვალისწინებულია მიზნების სტრუქტურიზაცია, ამოცანების დიფერენცირება და შედეგებზე ორიენტირება. გეგმა ქმნის საფუძველს გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ურთიერთშეთანხმებისთვის.

1.2.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურა აჩვენებს მკაფიო კავშირებს სტრატეგიულ მიზნებთან და თვითშეფასების პროცესის შედეგებთან. ეს უზრუნველყოფს გეგმების რეალურ საჭიროებებზე მორგებას და ზრდის მათ შესრულებადობას.

წარდგენილი ერთწლიანი გეგმა განისაზღვრება როგორც სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე დოკუმენტი. აქტივობები მიბმულია სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე. ერთგვარი უკუკავშირის პრინციპით, გამოყენებულია თვითშეფასების შედეგებზე დაფუძნებული კორექტივები, რაც მიუთითებს ფუნქციურ კავშირზე შეფასებასა და დაგეგმვას შორის.

1.2.1(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დოკუმენტში აქტივობები დაყოფილია სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით. თითოეული პუნქტი შეიცავს: მიზანს, შესაბამის აქტივობას, პასუხისმგებელ სუბიექტს, შესრულების ვადას, ინდიკატორს და საჭირო რესურსს. აქტივობათა დეტალიზაცია მიანიშნებს იმაზე, რომ დაგეგმვისას გათვალისწინებულია როგორც სკოლის შესაძლებლობები, ისე რესურსების რეალისტური ანალიზი.

1.2.1(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N2-78 „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები - გამოქვეყნებული სკოლის ვებგვერდზე
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მონაწილეობით, რომელიც ეტაპობრივად იღებს ანგარიშებს პასუხისმგებელი პირებისგან. შუალედური და წლის ბოლოს შეფასება ეყრდნობა ინდიკატორების ანალიზს, რის საფუძველზეც აქტივობებს ენიჭება შესრულების სტატუსი.

1.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მეთოდოლოგიაში და სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია მონიტორინგისა და უკუკავშირის უზრუნველმყოფი მექანიზმები (მაგ. ანგარიშგება, შეხვედრები, ვებგვერდზე გამოქვეყნება). შეფასების პროცესი ითვალისწინებს შედეგების ანალიზს, რაც შეადგენს დაგეგმვისა და მართვის ციკლის მნიშვნელოვან კომპონენტს.

1.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

მეთოდოლოგიით დადგენილია, რომ შესრულების ანგარიშები და გეგმის მიღწევები ვრცელდება სკოლის ვებგვერდზე, საინფორმაციო დაფებზე და საჯარო შეხვედრების ფორმატში. აღნიშნული უზრუნველყოფს სკოლის ანგარიშვალდებულობასა და გამჭვირვალობას.

1.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

შედეგების ანალიზი ხდება ყოველწლიურად, რაც საფუძვლად უდევს მომდევნო წლის დაგეგმვას. ეს მიუთითებს განვითარების პროცესის უწყვეტობაზე და ადაპტაციის შესაძლებლობაზე სკოლის შიდა გარემოსა და საგანმანათლებლო საჭიროებების მიმართ.

1.2.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (მუხლი 11; დანართი N1);
- შვიდწლიანი გეგმის მონიტორინგის ფორმატები;

- ერთწლიანი გეგმის ანგარიშგების მექანიზმები;
- ანგარიშების საჯაროობის არხები;
- სტრატეგიის გადახედვის პრაქტიკა ანგარიშების საფუძველზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლის განმარტებით, ორგანიზაციული სტრუქტურა შეესაბამება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და მოიცავს ყველა სავალდებულო რგოლს (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და სხვ.). ასევე, მითითებულია, რომ ფუნქციური პასუხისმგებლობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების ფუნქციების გადანაწილების წესი", სადაც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუქნქციები.

გარდა ამისა, **ფიქსირდებოდა სტრუქტურულ დოკუმენტში და საშტატო განრიგში შეუსაბამობები**. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი და შეიტანა ცვლილება სკოლის სტრუქტურის დოკუმენტში, შესაბამისად

3.1.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის თვითშეფასებაში კარგად არის ასახული ფუნქციური ერთეულების მიზნობრივი დანაწილების სარგებლიანობა — სკოლა აღნიშნავს, რომ სტრუქტურა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ წარმართვას, და რომ დაგეგმილია პერიოდული მონიტორინგიც ფუნქციური ეფექტიანობის გადამოწმებისთვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ფუნქციების ეფექტიანობის მონიტორინგი ჯერ მხოლოდ **დაგეგმვის ეტაპზეა** და არა მოქმედი პრაქტიკის სახით. ამის გამო ვერ დგინდება, რამდენად ეფუძნება არსებული სტრუქტურა მტკიცებულებას რეალურ საჭიროებებსა და შედეგიანობაზე.

დასმული ფუნქციები ზოგად დონეზე ცნობილია (მაგ. მრჩეველთა საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის, კათედრების, თვითმმართველობის და სხვა), ასევე ვიზიტის პერიოდში სკოლამ **დოკუმენტურად წარმოადგინა ფუნქციათა და პასუხისმგებლობათა განაწილების დოკუმენტი - "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების ფუნქციების გადანაწილების წესი"**, რაც საჭიროა როლისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნის ხარისხის დასადგენად.

3.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა
2. შრომითი ხელშეკრულებები
3. სკოლის შინაგანაწესი

4. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების ფუნქციების გადანაწილების წესი
5. საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხონვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების თანახმად, მასწავლებლის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, რომელიც აკმაყოფილებს სპეციალურად ამავე წესით დადგენილ საკვალიფიკქციო მოთხოვნებს, 2015 წლის 1 იანვრამდე მოქმედ მასწავლებელს და 2015 წლის 1 ინვრამდე სერტიფიცირებულ პირს. ამავე წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 213 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა ბოლო პერიოდში ჩატარებული კონკურსის მასალები, რომლიდანაც დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის მიერ გამოცხადებული ბოლო, ექთნის ვაკანსია **გამოქვეყნებულია hr.gov.ge -ზე.**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი

ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის დებულებები შრომის კოდექსთან შესაბამისობაშია.

სკოლის პრაქტიკა მიუთითებს, რომ პერსონალის მართვის პროცესები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა". დგინდება, რომ ზოგადი შესაბამისობა დაცულია (კონკურსის წესით შერჩევა, კანონით განსაზღვრული პროცედურები), დოკუმენტური ბაზის არსებობა აჩვენებს, რომ სკოლის HR მენეჯმენტი სისტემურად ჩამოყალიბებულია.
3.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა
სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", სადაც გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის მექნიზმები. სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება.

სკოლა აღიარებს, რომ ამჟამად **არ გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის დოკუმენტი**, თუმცა მისი შემუშავება დაგეგმილია. მიუხედავად ამისა, **შინაგანაწესის შესაბისი მუხლები** და აღწერილი

პრაქტიკა (მაგ., არყოფნის შემთხვევაში ფუნქციის დელეგირება, პოზიციების ანალიზის საჭიროება და სხვ.) მიუთითებს სტრუქტურირებული ხედვის ჩამოყალიბებაზე.

სკოლას მიეცა *რჩევა:* მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკა პოზიტიური და ფუნქციურია, მიზანშეწონილია, რომ ეს მიდგომა დოკუმენტურად განმტკიცდეს.

3.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლა მართავს პერსონალის შერჩევის პროცესს კანონმდებლობის სრული დაცვით. წარმოდგენილია კონკურსის ჩატარების წესები, ვაკანსიის გამოქვეყნების პრაქტიკა, კომისიის ბრძანებები, ოქმები და სხვა დოკუმენტები. ეს პროცესები გამჭვირვალეა და ეფუძნება ობიექტურობასა და თანაბარ წვდომას.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილია პერსონალის სამსახურში მიღებისას საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც სკოლის წარმომადგენლებისაგან, ასევე მოწვეული სპეციალისტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელისაგან. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, შინაგანაწესის თანახმად, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. პირად საქმეებში თანამშრომლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული

დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ნარკოლოგიური აღრიცხვის, პირის მსჯავრდებისა და ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

3.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ადგილზე ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში.

სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი "სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", სადაც ყველა პოზიციისთვის აქვს გაწერილი ერთიანი მიდგომა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით. ადამიანური რესურსების და პერსონალის მართვის სხვა დოკუმენტებშიც არის წარმოდგენილი მოქმედი საშატატო ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მასწავლებლებთან ხელშეკრულებები დადებულია სტატუსის შესაბამისად, მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექთნის კვალიფიკაცია. სკოლამ რამდენჯერმე გამოაცხადა ვაკანსია და, რადგანაც ექიმის შესაბამისი კადრით უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, სამინისტროსთან შეთანხმებულ საშტატო განრიგში ექიმის ნაცვლად განისაზღვრა ექთნის საშტატო ერთეული. გამოცხადებული ღია კონკურსის საფუძველზე სკოლამ დაასაქმა ექთნის პოზიციაზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია არა მხოლოდ ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი პროცესების ეფექტურად წარსამართად, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთნდობისა და სასკოლოო საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გაჩენის თვალსაზრისითაც.

სკოლის პერსონალი აკმაყოფილებს სტანდარტებს. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით" და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" სტანდარტებს და სკოლის სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროცესი ხორციელდება კონკურსით, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივ შესაბამისობასა და პროფესიულ სანდოობას.

3.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.
შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, კლუბების შექმნაზე, შეიმუშავებენ კლასისა და თვითმმართელობის ქცევის წესებს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წვრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში.

სკოლამ გაგვიზიარა თანამშრომლობითი კულტურის პრაქტიკა, მჭიდრო კავშირი მენეჯმენტსა და პედაგოგებს შორის, ისგ-ს ჯგუფური მუშაობის პრაქტიკა, მშობელთა აქტიური ჩართულობა. ეს ყველაფერი მეტყველებს დემოკრატიულ მიკროორგანიზაციულ გარემოზე და საერთო პასუხისმგებლობაზე. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად,

3.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული დოკუმენტი არ არსებობს, სკოლაში ფუნქციონირებს პრაქტიკული მექანიზმები — წარმატებული პრაქტიკების გაზიარება კათედრების სხდომებზე, აღიარება სოციალურ ქსელებსა და პედაგოგიურ საბჭოებზე. პრაქტიკა სისტემური და მამოტივირებელია.

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების დებულებები და პროექტები, სადაც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით თანამშრომლობენ სხვა კათედრებთან, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას („კრიტიკული მეგობარი“), ინტეგრირებულ და პროქტ – გაკვეთილებს.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. სკოლასთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ თანამშრომელთა წახალისება ხდება: მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი

3.1.2.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. ბრძანებები ახალი კადრის დანიშვნის შესახებ
3. შრომიში ხელშეკრულებები
4. ისგ-ს ოქმი
5. სტრუქტურული ერთეულების ოქმები

6. „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
7. დასაქმებულთა პირადი საქმეები
8. ვაკანსიების საკონკურსო დოკუმენტაცია
9. ცნობები: ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ნარკოლოგიური აღრიცხვის, პირის მსჯავრდებისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლა მიუთითებს, რომ წლის ბოლომდე დაგეგმილია განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება ზრდასრულთა სწავლების თანამედროვე პრინციპებზე და გახდება სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტის ნაწილი.

ამ დროისთვის შეფასების მექანიზმი და**გეგმვის სტადიაშია**, თუმცა პრაქტიკაში არსებობს საჭიროებების იდენტიფიცირების ელემენტები: მაგალითად, სემესტრული ანალიზის საფუძველზე მიღწევებისა და პრობლემური ზონების გამოყოფა.

რჩევა: შეფასების მექანიზმი აუცილებელია დაყრდნობილი იყოს დოკუმენტურად განსაზღვრულ მეთოდოლოგიაზე; სასურველია მისი გაწერა HR პოლიტიკის ფარგლებში ან სხვა დოკუმენტის სახით.

3.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლა გვაწვდის ინფორმაციას, რომ საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე შემუშავდება პერსონალის განვითარების სამოქმედო გეგმა. აღწერილია პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს სემესტრის ბოლოს მიღწევებისა და გაუმჯობესების საჭიროებების კოლეგიური გაანალიზებას.

თუმცა **გეგმა ჯერ არ არის წარდგენილი დოკუმენტის სახით**, ანუ განვითარების პროცესი იმყოფება ნაწილობრივ ფორმალიზებულ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ პერსონალის განვითარებას ეთმობა ადგილი ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

რჩევა: დადასტურებული პრაქტიკა საფუძვლიანია, მაგრამ სასურველია **გეგმების სტრუქტურიზაცია დოკუმენტურად** (მაგ. პერსონალის განვითარების წლიური გეგმის სახით).

3.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლაში განხორციელებული პრაქტიკა — თანამშრომლების ჩართულობა ტრენინგებსა და სემინარებში, შესაბამისი ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა, სერტიფიკატების არსებობა — მიუთითებს რეალურ, აქტიურ მხარდაჭერაზე.

ამავდროულად, მიღებული ცოდნის გამოყენება კოლეგიალურ დონეზეც ფიქსირდება, რაც ზრდის ეფექტიანობას.

3.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას ამ ეტაპზე **არ აქვს ფორმალურად გაწერილი ადაპტაციის წესი**, თუმცა სკოლამ გაგვიზიარა ფუნქციური პრაქტიკა: ახალი კადრისთვის ხელშეწყობა და არაოფიციალური ინტეგრაციის კულტურა. წარდგენა თანამშრომელებთან, კლასებთან, მოადგილე ეხმარება ახალ მასწავლებელს, ასევე კოლეგები, კათედრა, არსებობს ურთიერთდასწრება

დადებითად აღსაქმელია ის, რომ მომავალში დაგეგმილია ადაპტაციის ეტაპების გაწერა სპეციალურ დოკუმენტში.

რჩევა: პრაქტიკის დასტაბილურების მიზნით მიზანშეწონილია ინტეგრაციის წესის დოკუმენტური გაფორმება.

3.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**
   სკოლის კულტურა ხელს უწყობს ინიციატივების დაფასებას. სკოლამ გაგვიზიარა პრაქტიკა, რომ თანამშრომლები მონაწილეობენ პროფესიული იდეებისა და მიღწევების გაზიარებაში (მაგ. კათედრის სხდომები, პედაგოგიური საბჭო, სოციალური მედია). ეს პრაქტიკა მიუთითებს არარეგლამენტირებულ, მაგრამ ფუნქციურ წახალისების სისტემაზე.

3.2.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ხარისხისა განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება და დებულება .
2. სერთიფიკატები , ტრენინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია .
3. კათედრების დოკუმენტაცია
4. სტრუქტურული ერთეულების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ვიზიტის პერიოდში დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის N2-103 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს — მათ შორის ხარისხის ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება და გაუმჯობესება.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი სკოლაში არსებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, თითოეული პროცესის მიზანი, შედეგი, სტრუქტურა და შეფასების მექანიზმი. პროცესები აღწერილია სტრუქტურირებულად, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რისკების შეფასების საფუძველზე იდენტიფიცირდება შემოწმების საჭიროება და პერიოდულად მიმდინარეობს შიდა მონიტორინგი.

ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორი) უზრუნველყოფს დოკუმენტის აღსრულებას. დოკუმენტით განსაზღვრულია არაგეგმური შემოწმების შესაძლებლობაც. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მოიცავს გარე შეფასების კომპონენტსაც, რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას.

3.3.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა აღნიშნავს, რომ მმართველობითი და დამხმარე პროცესები ფუნქციონირებს და მათი აღწერა ხდება შრომის შინაგანაწესსა და სასკოლო კურიკულუმში. დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტში მკაფიოდ გაწერილია სკოლის პროცესების კლასიფიკაცია: მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე. მათ შორისაა სტრატეგიული დაგეგმვა, კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის მართვა, რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა. თითოეულ პროცესზე განისაზღვრება პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რაც ასახულია შესაბამის დანართში.

3.3.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა **დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის №2-104 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი"**, რომელიც სტრუქტურულად, ვადების და პასუხისმგებელი სუბიექტების მითითებით მოიცავს:

- საჩივრების წარდგენისა და განხილვის ზოგად წესებს;
- საჩივრების განხილვის პრინციპებს (ობიექტურობა, მიუკერძოებლობა);
- ვადებსა და ფორმალურ მოთხოვნებს;
- დისციპლინურ საჩივრებთან დაკავშირებულ პროცედურებს;
- მასწავლებლის ვაკანსიის კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესს;
- მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის საჩივრის განხილვის პროცედურებს;
- შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების სრულ წესს;
- სამეურვეო საბჭოს კომპეტენციას და ზეპირი განხილვის წესებს.

დოკუმენტი უზრუნველყოფს სკოლის შიდა დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დაცვის მექანიზმებს და აწესებს ადეკვატურ პასუხს საჩივრების/განაცხადების განხილვის პროცესში.

3.3.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თვითშეფასებაში დეტალურად არის აღწერილი პრაქტიკა, რომელიც ეხება მშობლების თანხმობით ფოტოს და ვიდეოს გამოყენებას, ასევე პერსონალისა და მშობლის უფლება-ვალდებულებების გაწერას ხელშეკრულებაში და შინაგანაწესში.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არ არსებობს სპეციალურად უფლებების დაცვის მექანიზმზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, **ამ ინდიკატორის შესრულება პრაქტიკით დასაშვებია**.

სკოლა რეგულარულად იყენებს კონტრაქტების და ნებართვების სისტემას (მაგალითად, მშობლის თანხმობა ფოტო/ვიდეო მასალის გამოქვეყნებაზე), რაც სკოლის შინაგანაწესით არის რეგულირებული. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს ინტერესთა დაცვის ბალანსს და დაცვას. მოქმედებს შესაბამისი შიდა პოლიტიკა და საჯაროობა, რაც დადასტურებულია დოკუმენტაციითა და პრაქტიკით.

3.3.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი
2. სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება
3. დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის №2-104 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი"
4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (სკოლის დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის N2-103 ბრძანებით)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის პრაქტიკის მიხედვით, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას რეგულარული მშობელთა კრებების, სკოლის ფეისბუქისა და ვებგვერდის მეშვეობით. ეს პრაქტიკა მიუთითებს ინფორმირების მექანიზმებზე.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა და წარმოადგინა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში.

- კონკრეტულად, წარმოდგენილია **უკუკავშირისა და საჩივრის სტანდარტიზებული ფორმები**, რომლებიც მისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და თანამშრომლებისთვის.
- ორივე ფორმა (საჩივარი და უკუკავშირი) მოიცავს:
    - დეტალურ ინსტრუქციებს
    - ფორმალური ინფორმაციის გრაფებს
    - საჩივრის ან უკუკავშირის არსის აღწერის შესაძლებლობას
    - შემოთავაზებებისა და უკუკავშირის მიღების ფორმატს
    - ანონიმურობის არჩევის შესაძლებლობას

ეს მექანიზმები უზრუნველყოფს როგორც ორგანიზებულ უკუკავშირს, ისე გადაჭრილი საკითხების დოკუმენტირებულ, ანალიზზე დაფუძნებულ მართვას.

- სკოლა ასევე უზრუნველყოფს მიღებული უკუკავშირის გამოყენებას მართვის გაუმჯობესების პროცესში — რაც გულისხმობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და ღია, გამჭვირვალე კომუნიკაციას.

დამატებით მტკიცებულებად წარმოდგენილია სკოლის სოციალური ქსელები და კომიტეტების ოქმები, რაც ასახავს ინფორმაციის გავრცელებას.

3.3.2 (1) **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლამ დეტალურად აღწერა სასკოლო საზოგადოების — მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების — მონაწილეობა სკოლის მართვის ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ისგ ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა).

მტკიცებულებებში წარმოდგენილია ოქმები და სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი, რაც ადასტურებს მონაწილეობის პრაქტიკას.

3.3.2 (1) **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ფეისბუქგვერდი;
2. ვებ გვერდი;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
4. დისციპლინური კომიტეტის ოქმები ;
5. კათედრის ოქმი
6. უკუკავშირსა და საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ემსახურება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური – სკოლის ორივე კორპუსში მუშაობს სამი მანდატური (ორი – ძირითად, ერთი – მეორე კორპუსში).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს პროგრამები ორ მისამართზე (გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევი). სკოლის პირველი სასწავლო კორპუსი სამსართულიანია, გარემონტებული და პირველ სართულზე ადაპტირებული. მეორე კორპუსი საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი და გეგმავს შიდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შეფასების მიზნით ჩატარდა შენობების ვიზუალური დათვალიერება, ადმინისტრაციის ინტერვიუირება და დოკუმენტაციის შესწავლა. შედეგად დადგინდა, რომ:

- სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები;
- მოქმედებს დირექტორის ბრძანება „საგანგებო შტაბის წევრების განსაზღვრის შესახებ";
- სკოლას შემუშავებული აქვს **უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები**;
- სკოლას გააჩნია **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (2025 წლის 8 აპრილის წერილი №1057416);

- სკოლამ ვერ წარმოადგინა **შენობა-ნაგებობების მდგრადობის დოკუმენტი**, თუმცა მიმართა შესაბამის სამსახურს და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქვს მისი მოპოვება **2027 წლის 14 მარტამდე**;
- **სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა** ასევე არ არის წარმოდგენილი, თუმცა სკოლა აწარმოებს წერილობით კომუნიკაციას შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მისი მოპოვებისათვის **2027 წლის 11 აპრილამდე**;
- სკოლას არ ჰყავს **შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი**;
- სკოლის ეზოს ძირითადი ტერიტორია მოწესრიგებულია (ასფალტირებული პერიმეტრი), თუმცა ფართო ტერიტორია (დაახლოებით 3 ჰა) მოუვლელია და ბალახგაუთიბავი. სკოლას არ ჰყავს კადრი, რომელიც ეზოს მოვლით დაკავდება. გაცემულია რჩევა შესაბამისი სერვისის მიღების მიზნით;
- **საევაკუაციო გეგმა განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას**, ხოლო გასასვლელები აღჭურვილია შესაბამისი მანიშნებლებით;
- **სკოლის ღობის მთლიანობა დარღვეულია** (დაახლოებით 300 მეტრზე); სკოლამ მიმართა შესაბამის სამსახურს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის თაობაზე.

სკოლას მიეცა რჩევა, მოაწესრიგოს სკოლის ეზოს ნაწილი დამხმარე სერვისების ჩართულობით და აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლამ წარმოადგინა **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა**, რომლის მიხედვითაც:

- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დოკუმენტის მოპოვება დაგეგმილია **2027 წლის 14 მარტამდე**;
- ღობის აღდგენა – **2027 წლის 14 მარტამდე**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, აღმოფხვრას აღწერილი გარემოება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაერილ ვადებში. შესაბამისად,

3.4.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების მექანიზმები შემდეგი კომპონენტებით:

- **ექთნის მომსახურება ფუნქციონირებს** როგორც სკოლის ძირითად, ასევე მეორე კორპუსში.
- **დერეფანში განთავსებულია პირველადი დახმარებისა და ცხელი ხაზის ნომრები**, რაც უზრუნველყოფს დროულ ინფორმირებას და მოქმედებას კრიტიკულ სიტუაციებში.
- სკოლის ძირითადი შენობაში **სამედიცინო კაბინეტი ფორმალურად არ ფუნქციონირებდა**, თუმცა დოკუმენტურად დასტურდება, რომ:
    - სკოლას გადაეცა პირველადი დახმარების ინვენტარი;
    - **ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლამ სრულად შეავსო სამედიცინო კაბინეტი**, რაც დაადასტურა შესაბამისი **ჩუქების აქტით** (ფლობის დოკუმენტი).
- ასევე წარმოდგენილია **სკოლის მეორე კორპუსში ექთნის მომსახურების მექანიზმი**, რაც აჩვენებს სკოლაში პირველადი დახმარების გეოგრაფიულად დიფერენცირებულ და ხელმისაწვდომ სერვისს.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კაბინეტი თავიდან სრულად არ იყო აღჭურვილი, **შემდგომმა რეაგირებამ — კაბინეტის აღჭურვამ და დოკუმენტურმა გამყარებამ — უზრუნველყო ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.** მნიშვნელოვანია, რომ ეს ნაბიჯი გადაიდგა ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში, რაც მიუთითებს პროცესის დროულად გამართულ და მიზნობრივ მართვაზე.

3.4.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით, რაც მითითებულია სკოლის შიდა რეგულაციებში — მათ შორის **შინაგანაწესში**.

პირველ კორპუსში ფუნქციონირებს გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემა, რომელიც განთავსებულია იზოლირებულ და დაცულ სივრცეში. მონიტორინგს უზრუნველყოფს **სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური**. ამავე კორპუსში მანდატურისათვის გამოყოფილია სპეციალური სამუშაო სივრცე, დარაჯის ფუნქცია კი ორ საშტატო ერთეულზეა განაწილებული. შენობის დაცვა ხორციელდება როგორც დღის, ისე ღამის რეჟიმში.

მეორე კორპუსში მანდატური უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, თუმცა ვიდეოსათვალთვალო სისტემა არ არის დამონტაჟებული. აღნიშნული წარმოადგენს მცირე ტექნიკურ უთანაბრობას რესურსების განაწილებაში. თუმცა, **დარაჯი მეორე კორპუსშიც დაინიშნა ექსპერტების ვიზიტის პერიოდში**, დამატებითი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით, სახელშეკრულებო საფუძვლით.

სკოლას ჰყავს **მრჩეველთა საბჭო**, რომელიც ერთ-ერთი რგოლია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი თანაცხოვრების მხარდაჭერის სისტემაში. **ვიზიტორთა აღრიცხვა რეგულირდება სპეციალურად პასუხისმგებელი პირის მიერ** — რეგისტრაციის ჟურნალის საფუძველზე.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ჩართული არიან სკოლის დირექცია, მორიგე მასწავლებლები, დამრიგებლები, მანდატურები და დარაჯები. საჭიროების შემთხვევაში პროცესში ერთვებიან მშობლებიც (განსაკუთრებით ღონისძიებების დროს). წესრიგის დარღვევის ან მისი მცდელობის შემთხვევაში სკოლა ახორციელებს **დაუყოვნებელ რეაგირებას** ადმინისტრაციული წესით.

ეს ყველაფერი მიუთითებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პოლიტიკის **მრავალდონიანობას**, **ფუნქციური დატვირთვის თანაბარ განაწილებას** და **რეაგირების ეფექტიან მექანიზმებზე**.

3.4.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა მრავალდონიანად მუშაობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაზე.

- სკოლამ გაგვიზიარა პრაქტიკა და თვითშეფასების დოკუმენტშიც ხაზგასმულია, რომ **სასკოლო საზოგადოება სისტემურად ცდილობს ძალადობის ნიშნების ამოცნობასა და დროულ რეაგირებას**, რაც წარმოადგენს უსაფრთხოებისა და პრევენციის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.
- სკოლაში აქტიურად გამოიყენება **თემატური სასწავლო აქტივობები** (დისკუსიები, ფილმების ჩვენება, როლური თამაშები), რაც ემსახურება მოსწავლეების ღია თვითგამოხატვას, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებასა და თანასწორობის წახალისებას.
- სკოლის **დირექცია, მასწავლებლები, მანდატურები და დარაჯები** უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას როგორც გაკვეთილების, ისე დასვენების დროს.
- **დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე უფლებამოსილი პირი**, რაც მიუთითებს რეაგირების მექანიზმის ფორმალურ სტრუქტურაზე.
- სკოლა საჭიროების შემთხვევაში სარგებლობს **სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურებით**, რაც წარმოადგენს სისტემურ მხარდაჭერაზე ორიენტირებულ მიდგომას.
- სკოლის მრჩეველთა საბჭო ჩართულია საკითხების ანალიზსა და შესაბამისი ღონისძიებების ინიცირებაში, რაც კიდევ ერთი ბერკეტია ფსიქო-სოციალური უსაფრთხოების მიმართულებით.

- სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლა ახორციელებს **საინფორმაციო შეხვედრებსა და პროექტებს** ძალადობის წინააღმდეგ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- **მორიგე მასწავლებლები ზედამხედველობენ დერეფნებსა და სკოლის პერიმეტრს** სასწავლო პროცესისა და შესვენებების დროს, რაც ამცირებს პასიური ზედამხედველობის რისკს.

3.4.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პრაქტიკა გამართულია და ასახავს როგორც ფორმალურ, ისე ფაქტობრივ მზაობას.

- **სკოლის ექთანი**, რომელიც დირექტორის ბრძანებით (2025 წლის 24 მარტი, N2-31) არის დანიშნული, ზედამხედველობს ჰიგიენურ პირობებს და აქტიურად მონაწილეობს მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და პირადი ჰიგიენის უნარების განვითარების მხარდაჭერაში.
- **სისუფთავის უზრუნველყოფაში ჩართულია ოთხი დამლაგებელი**, სამი- ძირითად შენობაში, ხოლო ერთი - მეორე შენობაში, რომლებიც ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობით არიან დაკავშირებული სკოლასთან. მათი საქმიანობის მონიტორინგს უზრუნველყოფს **სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი**.
- **სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას ექსპერტებმა დააფიქსირეს მაღალი ხარისხის სისუფთავე და მოწესრიგებულობა**. სველი წერტილები სრულად აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით — თხევადი საპონი, ქაღალდი, ხელსახოცი, სანაგვე ურნა და სხვ.
- **საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები ინახება სპეციალურად დაცულ და ჩაკეტილ სათავსოში**, რაც შეესაბამება უსაფრთხოების სტანდარტებს.
- **სველი წერტილების შემოწმების გრაფიკი გამოკრულია** და მუდმივი პრაქტიკა ადასტურებს მოვლის სტანდარტის დაცვას.
- **ნაგვის გატანაზე გაფორმებული ხელშეკრულება არ არსებობს**, თუმცა სკოლა რეგულარულად იხდის გადასახადს აბონენტის ნომრით, რაც ადასტურებს სერვისის არსებობასა და მოხმარებას.
- **სკოლას აქვს პერიოდული თანამშრომლობა სადერატიზაციო და დეზინფექციის მომსახურებაზე** — საჭიროების შესაბამისად იწვევენ სპეციალიზებულ კომპანიას მღრღნელებისა და მწერების წინააღმდეგ პროფილაქტიკური სამუშაოებისთვის.
- სკოლის ტერიტორიაც მოწესრიგებულია — როგორც ეს ფიზიკური დათვალიერებით, ისე დასუფთავების პასუხისმგებელი პირების არსებობით დასტურდება.

ექსპერტების მხრიდან გაიცა *რჩევა:* მიზანშეწონილია: ნაგვის გატანაზე ფორმალური ხელშეკრულების გაფორმება, რაც უფრო გამჭვირვალეს გახდის პროცესს ადმინისტრაციულ დონეზე.

3.4.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივად და ეთიკურად გამართულ პროცესს, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე პრევენციულ ზომებს:

- **პერსონალურ მონაცემებზე მოქმედებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი**, ხოლო **ოფიცრის ფუნქციებს ასრულებს გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი**, რაც უზრუნველყოფს ზედამხედველობის რეგულარულობას და შესაბამისობას კანონთან.
- **საქმისწარმოებელთან განთავსებული დოკუმენტაცია დაცულია კონფიდენციალობის პრინციპით**, რაც ხაზს უსვამს სენსიტიური ინფორმაციის წვდომის მართვადობას.
- **მშობელთან და სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს თანხმობის ნაწილს**, რაც განსაზღვრავს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესებს (მათ შორის ფოტოს, ვიდეოს, სახელის/გვარის გამოყენებას სკოლის გვერდებსა და პროექტებში).
- **ხელშეკრულებებში ან ბეჭდურ თანხმობის ფორმებში განსაზღვრულია სენსიტიური ინფორმაციის დამუშავების წესები** – განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები, ჯანმრთელობის მდგომარეობა ან ნარკოლოგიური ისტორია.
- სკოლა მოქმედებს „**პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ**" საქართველოს კანონით და უზრუნველყოფს მისი მოთხოვნების დაცვას როგორც მოსწავლეთა, ისე პერსონალის, მშობლებისა და სხვა პირების მიმართ.
- **მონაცემთა დამუშავება გაწერილია დროში:** დაწყებული რეგისტრაციით – დამთავრებული შრომითი ან სასწავლო ურთიერთობის დასრულების შემდგომ პერიოდში ინფორმაციის შენახვით, რაც მიუთითებს მდგრად და გააზრებულ მიდგომაზე.

სკოლას მიეცა არაფორმალური რჩევა, შესაძლებელია დაინერგოს **დოკუმენტურად გაწერილი პოლიტიკა/პროცედურა მონაცემების დამუშავებისა და შენახვის შესახებ**, რაც გაუმჯობესებს გამჭვირვალობას და გაამყარებს სკოლის პასუხისმგებლობას მონაცემთა დაცვის მიმართ.

3.4.1.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას პრაქტიკაში გააჩნია ინფორმაციის დაცვის რამდენიმე მექანიზმი, რომლებიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და სისტემურ მიდგომებს:

- სკოლა მოქმედებს **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად**, რაც განსაზღვრავს იმ ძირითად სტანდარტებს, რომელსაც ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს დამუშავებისას, შენახვისა და გადაცემის პროცესში.
- სკოლაში **დირექტორის ბრძანებით დანიშნულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი**, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს რეაგირებას სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით.
- სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ვრცელდება **მოსწავლეთა, მათი მშობლების, მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა მონაცემებზე** – და ეს მოიცავს მონაცემების დამუშავების ნებისმიერ ფორმას (შენახვა, გადაცემა, გადამუშავება და ა.შ.).
- **სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში**, რომელშიც მონაცემებზე წვდომა მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ, სპეციალური პაროლით, რაც ქმნის ინფორმაციის დაცვის ტექნიკურ ბარიერს და ზრდის მონაცემების უსაფრთხოების დონეს.
- **მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ინახება ჩაკეტვად კარადებში**, აღნიშნული კარადები განთავსებულია **საქმისმწარმოებლის და ბუღალტრის ოთახებში**, რაც გარკვეულწილად ზრდის კონფიდენციალურობის რისკებს. ეს აღინიშნა ექსპერტების მიერ და სკოლას მიეცა **არაფორმალური რჩევა**:
    - კარადები გადაიტანოს **იზოლირებულ სივრცეში**;
    - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაცია დაამუშავოს საარქივო წესით;
    - განსაზღვროს წვდომის უფლებამოსილებები.
- **სკოლას ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი**, რაც მნიშვნელოვანია ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ზედამხედველობისთვის.
- **სკოლის ვებსაიტისა და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებენ უფლებამოსილი პირები**, რაც ხელს უწყობს საჯარო კომუნიკაციაში ინფორმაციის კონტროლს და მიზნობრივ გამოქვეყნებას.
- სკოლამ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე არ გააჩნია დამოუკიდებელი, დამატებითი ტექნიკური რესურსები სამინისტროს მიერ მოწოდებული პლატფორმების მიღმა, თუმცა **შეგნებულად აღიარებს საჭიროებას** და გეგმავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებას, რაც მიუთითებს განვითარების მზაობაზე.

3.4.1.(7) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა პრაქტიკაში ახორციელებს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას და მიღებულ შედეგებს იყენებს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

- **თვითშეფასების დოკუმენტში** წარმოდგენილია განცხადება, რომ სკოლა რეგულარულად გეგმავს აღნიშნული მექანიზმების შეფასებას და მის საფუძველზე ცვლილებების დაგეგმვას.
- **ვიზიტის დროს წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი** მოიცავს მექანიზმს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მონიტორინგის ჯგუფის შექმნას. აღნიშნული ჯგუფი უზრუნველყოფს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მექანიზმების პერიოდულ შეფასებას.
- შეფასება მოიცავს **დაკვირვების სტრუქტურირებულ მექანიზმებს**, **სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას**, **შიდა მონიტორინგს** და დისკუსიურ ფორმატებს, რაც ადასტურებს შეფასების პროცესის მრავალფეროვნებას.
- **მრჩეველთა საბჭო აქტიურად გამოიყენება უსაფრთხოების შეფასების მიზნით**. საბჭოზე განიხილება უსაფრთხოების საკითხები, ფორმირდება რეკომენდაციები, ისმინება დირექტორის ანგარიშები მათი შესრულების შესახებ.
- ეს მექანიზმები მჭიდროდ უკავშირდება სკოლაში **უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებასა და ოპერაციული პროცესების უწყვეტობის უზრუნველყოფას**.

3.4.1.(8) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ ბრძანება N 2-44
2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
3. წერილი მდგრადობის დადგენასთან დაკავშირებით .
4. წერილი ღობის მთლიანობის უზრუნველყოფაზე.
5. წერილი სკოლის შესაბამისობის დადგენის შესახებ.
6. ექთნისა და დამლაგებლის ხელშეკრულება .
7. ფოტოსურათი (ცხელი ხაზის ნომერი)
8. მასწავლებლების მორიგეობის სია

9. გასასვლელის ნიშნები (exit)
10.პერსონალურ მონაცემათა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი.
11. თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი ნიშნების სურათები .

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ორ მისამართზე განთავსებულ ორ კორპუსში:

- **I კორპუსი**: მდებარეობს მისამართზე – გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეჯვრისხევი, ქუჩა 35, №1;
- **II კორპუსი**: მდებარეობს იმავე სოფელში, ქუჩა 43, უბანი 2, პირველიდან დაშორებულია დაახლოებით 3 კმ-ით.

შენობები და ტერიტორია

- სკოლის **ძირითადი შენობა სამსართულიანია**, ფლიგელის ნაწილი ორსართულიანი. შიდა აზომვითი ნახაზი **წარმოდგენილია**, თუმცა არ არის დამტკიცებული უფლებამოსილი პირის მიერ
- სკოლის ტერიტორია მოიცავს **3 ჰა-ს**, საკუთრების ფორმა – სახელმწიფო, **სარგებლობის უფლებით** გადაცემული აქვს დაწესებულებას.
- პირველ კორპუსთან მიმდებარედ არის **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნანგრევები**, რომლის **დემონტაჟის თაობაზე მიმდინარეობს კომუნიკაცია შესაბამის ორგანოებთან**.
- **დამხმარე ნაგებობები**: I კორპუსთან განთავსებულია **ორი დამხმარე ნაგებობა** და ცალკე მდგომი **საქვაბე**; II კორპუსის ტერიტორიაზეც არის საქვაბე.
- მეორე კორპუსი განკუთვნილია **დაწყებითი საფეხურისთვის (1-6 კლასი)**, ფუნქციონირებს როგორც ცალკე შენობა შესაბამისი სასწავლო და დამხმარე ოთახებით.

საკლასო გარემო და სივრცობრივი დატვირთვა

- სასწავლო პროცესი მიმდინარეობს **ერთ ცვლაში**, გათვლილია **720 მოსწავლეზე**; ამჟამად სწავლობს **404 მოსწავლე**.
- პირველ კლასში მიღების ლიმიტია **50 მოსწავლე**.
- სკოლის ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და ინვენტარით. ყველა ოთახი ბუნებრივად ნათდება.
- I კორპუსში საკლასო ოთახების გარდა ფუნქციონირებს **სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორია, კათედრების სათავსოები, მანდატურის ოთახი, სველი წერტილები (მათ შორის ადაპტირებული)** და **სამედიცინო კაბინეტი**.
- მეორე კორპუსში მოწყობილია **7 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, სპორტისთვის განკუთვნილი დიდი ოთახი და მანდატურის ოთახი**. შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის (სველი წერტილები, პანდუსი).

ინფრასტრუქტურული გამოწვევები და პრობლემები

- სკოლის პირველ კორპუსს **არ აქვს სპორტული მოედანი და სპორტული დარბაზი**. არსებული დარბაზი **დემონტაჟირებულია**. შენობის აღდგენაზე მიმდინარეობს კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთან, თუმცა **მშენებლობა არ დაწყებულა**.
- **ქიმიის კაბინეტში ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს უსაფრთხოების ზომებს - შეერთებულია სარდაფში მდებარე ლოკალურ საკანალიზაციო კასრზე**, რის გამოც **სრული დატვირთვით ექსპერიმენტების ჩატარება ვერ ხორციელდება**.
- სკოლის ეზოს დიდი ნაწილი **აბალახებულია და მოუმზადებელია სპორტისთვის ან დასვენებისთვის**.
- სკოლის **ეზოს ნაწილი ღობით არ არის შემოსაზღვრული**. წარდგენილია მიმართვა პრობლემის მოსაგვარებლად, თუმცა მყარი ვადები არ ფიქსირდება.

- შენობების ნაწილი (I კორპუსის ფლიგელი) **მხოლოდ ნაწილობრივაა ადაპტირებული შშმ პირთათვის**.
- სკოლას არ აქვს **დოკუმენტურად შემუშავებული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა** ან **სპორტული მოედნის მშენებლობის ვადები**.
- II კორპუსის მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგებულია და ინფრასტრუქტურა მოსწავლეთა მოცულობას შეესაბამება.

ტექნიკური აღჭურვა

- სკოლა აღჭურვილია შემდეგი რესურსებით:
  - **25 პერსონალური კომპიუტერი**,
  - **53 ლეპტოპი**,
  - **10 პრინტერი**,
  - **9 პროექტორი**,
  - ინდივიდუალური მერხები და დაფები ყველა საკლასო ოთახში.
- სკოლას აქვს უწყვეტი **ელექტროენერგია, წყალმომარაგება და გათბობა ბუნებრივ აირზე**.
- ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ფართის შესაბამისი რაოდენობის **გამათბობლებითა და გაზოდეტექტორებით**.

3.5.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის თვითშეფასებაში აღწერილია, რომ ფიზიკური გარემო შეესაბამება მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს, შიდა სივრცე ხელს უწყობს უსაფრთხო გადაადგილებას, სწავლასა და დასვენებას, ხოლო მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სკოლაში ყველა ჩართული მხარისთვის.

თუმცა, ვიზიტის შედეგად ექსპერტების მიერ გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები მიგვანიშნებს, რომ **შესაბამისობა ნაწილობრივია** და ინკლუზიური ხელმისაწვდომობის ნაწილში რჩება ფუნდამენტური ხარვეზები:

I კორპუსი:

- მხოლოდ **პირველი სართულია ადაპტირებული** — აქ განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი, ექთნის კაბინეტი და რამდენიმე საკლასო ოთახი.

- **ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი** და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეები მდებარეობს ზედა სართულებზე, რაც **შშმ მოსწავლეებისთვის მიუწვდომელია**, მით უმეტეს, რომ სკოლაში არ არის ლიფტი ან ასასვლელი პლატფორმა.
- სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა გეგმა კიბეებზე გადმოსაკეცი პანდუსის მოწყობის შესახებ, რაც მეტყველებს პრობლემის გაცნობიერებასა და გადაწყვეტის მზაობაზე, თუმცა აღნიშნული მხოლოდ მომავლის განზრახვაა და არა ამჟამინდელი ხელმისაწვდომობის რეალობა.

II კორპუსი:

- განკუთვნილია დაწყებითი საფეხურისთვის (1-6 კლასი).
- არ ჰყავს ცალკე ბიბლიოთეკარი ან ექთანი.
- კომპიუტერები განთავსებულია ერთ-ერთ საკლასო ოთახში და არ არსებობს სპეციალიზებული სივრცე კომპიუტერული მუშაობისთვის.
- სკოლის ინიციატივით წარმოდგენილია **მობილური წიგნის კარადის მექანიზმი**, რომლის მეშვეობითაც მეორე კორპუსის მოსწავლეებს ექნებათ წვდომა საბიბლიოთეკო რესურსებზე.
- ასევე, **ექთნის მომსახურების განრიგი** ჩაშენდა სამედიცინო კაბინეტის რეგლამენტში, რაც აჩვენებს ინტეგრაციის მცდელობას და პრაქტიკის არსებობას, თუმცა არა სისტემურ უზრუნველყოფას.

სარგებლობის წესები და პოლიტიკა:

- ბიბლიოთეკის, ლაბორატორიების და სხვა საერთო სივრცეების სარგებლობის წესები არსებობს, თუმცა ისინი **სტანდარტულია და არ ასახავს სკოლის კონტექსტს**, კერძოდ – არ ითვალისწინებს ინკლუზიურობის საჭიროებებს, შშმ მოსწავლეთა სპეციფიკას ან სივრცის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს.
- ექსპერტების არაფორმალური რეკომენდაციით, აღნიშნული წესები საჭიროებს **მოდიფიცირებას და კონტექსტუალიზაციას**, რაც სკოლის წარმომადგენლებმაც გაიზიარეს და წარმოადგინეს განახლებული დოკუმენტების სამუშაო ვერსიები.

სკოლას გააჩნია ინტეგრაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისადმი კეთილსინდისიერი მიდგომა, რაც გამოიხატება როგორც გეგმებსა და მექანიზმებში, ასევე ინტერვიუებსა და წარმოდგენილ დოკუმენტებში.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა **3.5.1.(2) დაკმაყოფილებულია**.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი, რომელიც მოიცავს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების ზოგად რეგულაციებს. წესში ექსპერტების ვიზიტის პერიოდში შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილება — განსაზღვრა, თუ როგორ ისარგებლებენ სკოლის მეორე კორპუსის მოსწავლეები ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით (მობილური წიგნის კარადის მექანიზმით). ეს პოზიტიური პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლა ახდენს მექანიზმების გადახედვასა და საჭიროებისამებრ ადაპტირებას.

ბიბლიოთეკა განთავსებულია ახლადგარემონტებულ სივრცეში. საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და მეთოდურ ლიტერატურას. ყველა წიგნი დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად, ფუნქციონირებს ფორმულიარების წარმოების სისტემა. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა რესურსებზე, ბიბლიოთეკის სივრცე პერიოდულად გამოიყენება შემეცნებითი აქტივობებისთვის, თუმცა ბიბლიოთეკარს არ გააჩნდა საქმიანობის წლიური გეგმა ან განხორციელებული ღონისძიებების ჩანაწერი, რაც ორგანიზაციულად ასუსტებს საბიბლიოთეკო მუშაობის ხარისხს.

ასევე, ბიბლიოთეკარების თქმით, მნიშვნელოვანი ნაწილი წიგნებისა შინაარსობრივად მოძველებულია. სკოლა მუშაობს აღნიშნულ გამოწვევაზე — გეგმავს მოძველებული ფონდის ჩამოწერასა და განახლებას, თუმცა ამ დროისთვის წარმოდგენილი ფლობის დოკუმენტაცია მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებს. ძველი წიგნების უმრავლესობაზე წარმოდგენილია მხოლოდ ინვენტარიზაციის დოკუმენტები და არა საკუთრების დამადასტურებელი აქტები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სამი კომპიუტერი. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით ირკვევა, რომ აქვთ ელექტრონული კატალოგის წარმოების გარკვეული პრაქტიკა და მომავალში აპირებენ ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას.

დადებითი მხარეები:

- არსებობს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი;
- ფორმულარების წარმოება, წიგნების წესით დამუშავება და სივრცის გამართული ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია;
- განხორციელდა წესის ოპერატიული ცვლილება მეორე კორპუსის მოსწავლეების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

მოსაწესრიგებელი ასპექტები:

- ბიბლიოთეკარს არ გააჩნია საქმიანობის გეგმა და ანგარიშგება — ეს ხელს უშლის გრძელვადიანი მუშაობის მონიტორინგს და სისტემურობას;
- ბიბლიოთეკის წესში არ არის გათვალისწინებული აქტივობების თემატიკა ან პერიოდულობა, რაც ხელს შეუწყობდა პრაქტიკის ერთგვაროვნებას;

- ნაწილი წიგნებისა მოძველებულია, ფლობის დოკუმენტაცია არასრულად არის წარმოდგენილი.

სკოლას მიეცა რჩევა:

6. ბიბლიოთეკარმა შეიმუშავოს საქმიანობის წლიური გეგმა და უზრუნველყოს ანგარიშგების წესი (მაგ., აქტივობების ჟურნალის წარმოება);
7. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესში ასახოს აქტივობების გამართვის პრინციპები და გაწეროს პასუხისმგებლობები;
8. სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რეგულარული განახლება და მოძველებული ნაწილის ჩამოწერა;
9. წარმოდგენილი იქნას ფლობის სრული დოკუმენტაცია ან/და ჩამოწერის დოკუმენტი;
10. გაგრძელდეს მეორე კორპუსთან დაკავშირებული მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა და მონიტორინგი.

3.5.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლასთან გასაუბრების მიხედვით, დაწესებულება აცხადებს, რომ უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლებისთვის საჭირო პირობები. აღნიშნულია ადაპტირებული ინფრასტრუქტურა: პანდუსები და სპეციალურად მოწყობილი სველი წერტილები, ასევე ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) რეალიზაციისთვის საჭირო სერვისები და მხარდაჭერა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

თუმცა, ექსპერტების ვიზიტისა და მიგნებების საფუძველზე იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა ინდიკატორის მოთხოვნასთან:

- **ადაპტირებული მხოლოდ პირველ სართულია**, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები, სველი წერტილები და ექთნის კაბინეტი;
- **მნიშვნელოვანი სივრცეები** – ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი, სპეციალური კაბინეტები – განთავსებულია სხვა სართულებზე, რომელთანაც შშმ პირებისთვის წვდომა **ფიზიკურად არ არის უზრუნველყოფილი** (არც ლიფტი, არც დამხმარე მექანიზმები არსებობს);
- სკოლის განმარტებით, ამ დროისთვის არ ჰყავთ შშმ მოსწავლე, თუმცა აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში გადმოიტანონ რესურსები პირველ სართულზე და იგეგმება **კიბეზე გადმოსაკეცი პანდუსის დამონტაჟება**, თუმცა ეს მხოლოდ სამომავლო ინიციატივაა და ჯერ არ არის განხორციელებული.

დადებითი მხარეები:

- ადაპტირებული სველი წერტილები და პანდუსი პირველ სართულზე;
- სპეციალური პედაგოგის და ასისტენტის ჩართულობა სსსმ მოსწავლეებისათვის;
- მზაობა რესურსების გადაადგილებისა საჭიროების შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა:

- სკოლის **ყველა სივრცესთან ხელმისაწვდომობა არ არის უზრუნველყოფილი**, რაც არის ინდიკატორის ძირითადი მოთხოვნა;
- არ არსებობს ლიფტი ან სხვა დამხმარე საშუალება მაღალ სართულებზე მდებარე ინფრასტრუქტურასთან წვდომისთვის;
- სამომავლო გეგმები და კეთილი ზრახვები ვერ ჩაანაცვლებს არსებულ ფიზიკურ რეალობასა და ხელმისაწვდომობის პრაქტიკას.

  სკოლამ წარმოადგინა **შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმ**ა, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლა აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავებას აპირებს **10/07/2025 -10/07/2027** პერიოდში, კერძოდ: 1. სკოლის ყველა სივრცესთან წვდომის უზრუნველყოფას; 2. ლიფტის ან სხვა დამხმარე საშუალების უზრუნველყოფას მაღალ სართულებზე მდებარე ინფრასტრუქტურასთან წვდომისთვის.

  სკოლას მიეცა **რეკომენდაცია**, აღმოფხვრას აღწერილი გარემოება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაერილ ვადებში.

  შესაბამისად,

3.5.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლამ ინდიკატორის მოთხოვნის საპასუხოდ წარმოადგინა როგორც წერილობითი თვითშეფასება, ასევე ვიზიტისას დამაჯერებელი პრაქტიკული მაგალითები და გარემოს ვიზუალური მტკიცებულებები.

სკოლა აცხადებს, რომ მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობაზე სკოლის ცხოვრებაში — ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით. სკოლის სივრცეები გამოყენებულია არა მხოლოდ გაკვეთილებისთვის, არამედ მრავალფეროვანი აქტივობებისთვის, რაც ავითარებს მოსწავლეთა ლიდერულ, მოქალაქეობრივ და შემოქმედებით უნარებს.

ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლა ვიზიტისას და დააფიქსირეს, რომ:

- **სკოლის დერეფნები დეკორირებულია** მოსწავლეთა ნამუშევრებითა და პრინტებით;

- **საკლასო ოთახებში**, განსაკუთრებით ესთეტიკური და სპორტული მიმართულების სივრცეებში, წარმოდგენილია ორიგინალური რესურსები, ნახატები, ინსტრუმენტები და ვიზუალური მასალა;
- სკოლაში ფუნქციონირებს **სააქტო დარბაზი**, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა წარმოდგენისთვის და თემატური ღონისძიებებისთვის;
- **სკოლის ეზო და კაბინეტები** გამოიყენება არაფორმალური განათლების აქტივობებისთვის, კლუბების და ღონისძიებების ჩასატარებლად.

სკოლა თანამშრომლობს **ადგილობრივ თვითმმართველობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან** ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით;

მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა **საზოგადოებრივი და კულტურული ღონისძიებები.**

აქტივობების ნაწილი **ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეების მიერ**, რაც მიუთითებს მძლავრ მოქალაქეობრივ თვითინიციატივაზე და გარემოს სოციალურ დანიშნულებაზე.

სკოლა ქმნის მრავალმხრივ, ინტეგრირებულ გარემოს, რომელიც ემსახურება როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციალურ, კულტურულ და შემოქმედებით მიზნებს. ინფრასტრუქტურის გამოყენება ამ მიზნებისთვის არის სისტემური, მიზნობრივი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული.

3.5.1 (6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. სასკოლო ბარათი
3. შიდა აზომვითი ნახაზი
4. კორესპონდენცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
   სკოლის თვითშეფასების და გასაუბრების მიხედვით, ის აქტიურად მუშაობს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. წარმოდგენილია ტექნიკური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ პროცესებს. კონკრეტულად:

- სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობის **ლეპტოპები, პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები**;
- კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია **დირექციისთვის, ადმინისტრაციისთვის, პედაგოგებისთვის და მოსწავლეთათვის**;

- ბიბლიოთეკაში მოწყობილია **საჯარო სამუშაო სივრცე** შესაბამისი ტექნიკით, რაც განამტკიცებს ციფრულ ხელმისაწვდომობას;
- კომპიუტერული ლაბორატორია სრულად აღჭურვილია და ტექნიკურად გამართულია;
- სკოლა უზრუნველყოფილია **უწყვეტი ინტერნეტით, ყველა სივრცეშია ვაიფაი**.

გამოყენების მექანიზმები და ორგანიზაცია:

- კომპიუტერული რესურსების გამოყენება სრულად არის **ინტეგრირებული სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში**;
- მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ საშუალება ტექნოლოგიური რესურსებით სარგებლობის;
- სკოლა ახორციელებს ტექნიკური რესურსების **ორგანიზებულ მართვას** — ინვენტარით აღჭურვილია ყველა სტრუქტურული რგოლი.

სკოლამ წარმოადგინა **„ციფრული განვითარების გეგმა"**, რომელიც აღწერს:

- არსებული რესურსების სტატუსს;
- ტექნოლოგიური ინტეგრაციის მექანიზმებს;
- რესურსების გამოყენების განრიგსა და პასუხისმგებლობებს;
- სამომავლო განვითარებისა და გაფართოების ხედვას.

გეგმა აჩვენებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს ტექნოლოგიური მხარდაჭერის როლი და იცის, როგორ უნდა განავითაროს არსებული ინფრასტრუქტურა მიზანმიმართულად.

სკოლის ისტ-სამსახურის ტექნიკურ რესურსებზე პასუხისმგებელია **ისტ-ის მასწავლებელი**, რაც მიანიშნებს პროცესის კონკრეტულ მართვაზე და პასუხისმგებლობის აღებაზე.

ექსპერტების ვიზიტისას მოხდა ტექნიკური რესურსების დათვალიერება, და დადასტურდა, რომ:

- აღჭურვილობა რეალურად ფუნქციონირებს;
- რესურსები განთავსებულია შესაბამის სივრცეებში;
- მოსწავლეებს აქვთ წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე და საერთო სარგებლობის ტექნიკაზე.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ეფექტიანად უწყობს ხელს როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვან წარმართვას და იძლევა ციფრული განათლების განვითარებისთვის აუცილებელ საფუძველს.

ინდიკატორის 3.6.1.(1) მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია.*

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სკოლას აქვს წარმოდგენილი **„ციფრული განვითარების გეგმა" და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი**, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიებზე წვდომის მექანიზმებსა და გამოყენების წესს. დოკუმენტებში გაწერილია:

- კომპიუტერული ლაბორატორიისა და ტექნიკური რესურსების გამოყენების **დეტალური განრიგი**;
- **სამუშაო სივრცეებისა და კომპიუტერული ტექნიკის საერთო სარგებლობის წესი**, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიებზე წვდომას სასწავლო პროცესის მიღმაც (მაგალითად: პრეზენტაციები, საშინაო დავალებები, ონლაინ ჟურნალი);
- **ისტ-ს პედაგოგის პასუხისმგებლობა** კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გამართულობაზე.

თვითშეფასებისა და ექსპერტების მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ:

- კომპიუტერული ლაბორატორია ფუნქციონირებს სრული დატვირთვით;
- ბიბლიოთეკაში მოწყობილია საჯარო ტექნიკური სამუშაო სივრცე;
- **საგაკვეთილო ცხრილი** შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოფილია კომპიუტერული რესურსების თანაბარი წვდომა ყველა კლასისთვის;
- სკოლა იყენებს ტექნიკას როგორც გაკვეთილებზე, ასევე **საგანმანათლებლო კვირეულებსა და პროექტულ აქტივობებში**;
- **მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა ტექნოლოგიებზე გაკვეთილების მიღმაც**, სკოლის შიდა წესით განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.

სკოლას გააზრებული აქვს ტექნოლოგიის გამოყენების ღირებულება სწავლა-სწავლების პროცესში:

- აღიარებულია ტექნოლოგიის როლი **მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდაში**;

- ტექნიკური რესურსები განიხილება როგორც **სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება**;
- სკოლას მომავლისთვის დაგეგმილი აქვს ტექნოლოგიური ბაზის **განახლება და გაფართოება**.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ ფიზიკურად ხელმისაწვდომია, არამედ **დაწესებულია შესაბამისი წესი**, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან განაწილებას და მიზნობრივ გამოყენებას. პრაქტიკა ამ წესს შეესაბამება, რაც ზრდის ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხარისხს სწავლა-სწავლების პროცესში.

3.6.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ციფრული განვითარების გეგმა
2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შედგენილი და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების ერთიანი წესი**, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- **დოკუმენტების რეგისტრაციის პროცედურები** (შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია);
- **დოკუმენტების ფორმები და ტიპების კლასიფიკაცია**;
- **პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი**;
- **დავალებების შესრულების კონტროლის მექანიზმები**;
- **ინფორმაციის გაცემისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი**.

აღნიშნული წესი ითვალისწინებს **საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონს** და მოქმედი ადმინისტრაციული რეგულაციების მოთხოვნებს.

სკოლა ახორციელებს **შერეულ ფორმატში** საქმისწარმოებას:

- ნაწილობრივ იყენებს **ელექტრონულ სისტემას** კორესპონდენციის დასარეგისტრირებლად;
- პარალელურად აწარმოებს **მატერიალურ ჟურნალებს**, მათ შორის:
  - **ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი**;
  - **შემოსული და გასული კორესპონდენციის ჟურნალები**;
  - **შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი**;
  - **პირადი საქმეების აღრიცხვის დოკუმენტაცია**.

დამუშავებული კორესპონდენციის **ელექტრონული რეესტრი** წარმოდგენილია და ექსპერტების მიერ დადასტურებულია.

დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები:

- **დანომრილია, აკინძულია, ბეჭედდასმულია** და უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილია;
- უზრუნველყოფილია დოკუმენტაციის სანდოობა და მთლიანობა;
- შეესაბამება საქმისწარმოების შესახებ დადგენილ ადმინისტრაციულ რეგულაციებს.

ექსპერტების ვიზიტისას:

- დადასტურდა, რომ **საქმისწარმოების წესი ფუნქციურად მოქმედია**;
- პერსონალი და ადმინისტრაცია მოქმედებენ წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
- **ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური ანალიზით** დადასტურდა წესის რეალური აღსრულება.

წესში დაფიქსირდა **უმნიშვნელო უზუსტობები** — ჩამოთვლილია ექვსი სახის სარეგისტრაციო ჟურნალი, თუმცა არ არის მკაფიოდ გამიჯნული, რომელია მატერიალური და რომელი - ელექტრონული.
ექსპერტებმა სკოლას მისცეს **პრაქტიკული რჩევა**, რომ განახორციელოს შესწორება წესში და **წარმოაჩინოს ელექტრონული საქმისწარმოების განვითარება ან დაგეგმვა**. ასევე აღმოჩნდა, რომ დასაქმებულებთან გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტების (ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილის) რეგისტრაციას სკოლა არ აწარმოებდა. სკოლას მიეცა პრაქტიკული რჩევა, ურთიერთშეთანხმების აქტების რეგისტრაცია მოეხდინათ ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში.

მიუხედავად უზუსტობებისა დოკუმენტში (რომელზეც სკოლამ იმოქმედა), საქმისწარმოების წესი რეალურად ფუნქციონირებს, პრაქტიკა სრულად შეესაბამება წესს და **დოკუმენტაცია სრულად რეგისტრირებულია შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად**.

სკოლა უზრუნველყოფს საქმისწარმოების სამართლებრივად გამართულ მართვას — გააჩნია მოქმედი წესი, რომელსაც ემყარება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმის დოკუმენტების წარმოება და რეგისტრაცია.
3.6.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას EFLOW**, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის ეფექტურ რეგისტრაციას, კონტროლს, შენახვასა და სამართლებრივ დაცვას.
EFLOW-ის საშუალებით ხდება:

- შიდა და გარე კორესპონდენციის აღრიცხვა;
- გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების ელექტრონული დამუშავება;
- საქმისწარმოების ეფექტური ორგანიზება და **არქივირების შესაძლებლობა**.

აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს საქმისწარმოების პროცესის **დამუშავების გამჭვირვალობასა და ოპერატიულობას**, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიუროკრატიულ შეფერხებებს.
დოკუმენტბრუნვის გარდა, სკოლის მართვაში ინტეგრირებულია **სხვადასხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგია**, მათ შორის:

- **Eschool** – სკოლების მართვის სახელმწიფო საინფორმაციო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მონაცემების რეგისტრაციას, მათ შეფასებებსა და მოძრაობას;
- **ელექტრონული ჟურნალი** – უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ციფრულად აღრიცხვას;
- **ელ. ფოსტა და ღრუბლოვანი პლატფორმები** (Google Drive, Office 365, Microsoft Teams) – აქტიურად გამოიყენება როგორც დირექციის, ისე მასწავლებლების მიერ პროფესიული საქაღალდეების, კურიკულუმების, მასალის გაცვლისა და საერთო თანამშრომლობისთვის.

ტექნოლოგიური საშუალებები სკოლის მიერ გამოყენებულია არა ფორმალურად, არამედ რეალურად, **მუშა პროცესის ორგანიზებისთვის**, რაც დასტურდება როგორც თვითშეფასების დოკუმენტით, ისე **ექსპერტების მიერ ვიზუალურად და**

სკოლა იყენებს ტექნოლოგიებს **სისტემურად და სტრატეგიულად** – დოკუმენტბრუნვა და საქმისწარმოება არ არის იზოლირებული პრაქტიკა, არამედ **ინტეგრირებულია ზოგად მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესში**.
გარდა ადმინისტრირების, ტექნოლოგიური რესურსები გამოიყენება:

- **სასწავლო პროცესის მართვაში**;
- **მასწავლებელთა შეფასებისა და განვითარების პროცესში**;
- **გაციფრულებული პროფესიული პორტფოლიოების მართვაში**.

სკოლაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და სხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პროცესის წარმართვაში.
ინდიკატორი 3.6.2.2 მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სრულად იყენებს **ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS)** და მასში **დროულად, სიზუსტით და წესების სრული დაცვით** ასახავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

სკოლის პროფილში ასახულია:

- სკოლის ბარათის მონაცემები;
- მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით;
- მასწავლებელთა სია, მათი კვალიფიკაცია და სტაჟი;
- შერჩეული **გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სია**;
- საკონტაქტო და ინფრასტრუქტურული მონაცემები;
- სხვა შესაბამისი სამართლებრივი ან ტექნიკური ინფორმაცია, რაც EMIS-ს მოითხოვს.

ექსპერტების მიერ სისტემაში მონაცემების გადამოწმებისას დადასტურდა, რომ:

- ინფორმაცია მოცემულია სრულად და განახლებულია;
- ატვირთულია შესაბამისი **მტკიცებულებები**, მათ შორის სკოლის სამართლებრივი სტატუსის, პერსონალის კვალიფიკაციის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- სისტემაში არ გამოვლენილა ხარვეზები ან შეუსაბამობები.

სკოლა ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას - EMIS სისტემაში რეგისტრაცია და მუდმივი განახლება. სისტემის გამოყენება ხდება არა ფორმალურად, არამედ **აქტიურად ადმინისტრირების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში**.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას აქვს **სრულყოფილი და სრულად ფუნქციონალური პროფილი EMIS-ში**, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესების გამჭვირვალობას და ეფექტურობას.

3.6.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა საქმიანობს **საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად**, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგების, დოკუმენტაციის წარდგენისა და ინფორმაციის მიწოდების ფორმალიზებასა და ეფექტურობას. არსებობს განსაზღვრული ვადები და ფორმატები შემოსული კორესპონდენციისა და უწყებებთან კომუნიკაციის რეაგირებისთვის.

დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს:

- **საგანმანათლებლო რესურსცენტრთან**, რომელთანაც ურთიერთობა უმეტესად წარმართავს;
- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან**, მათ შორის სხვადასხვა პროგრამისა და პროცესის ადმინისტრირებისას;
- სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ **საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ-ებთან)** — მაგალითად, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან", მანდატურის სამსახურთან, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და სხვ.

სკოლა 10 დეკემბრამდე წარადგენს **საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშს** საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ უწყებებთან — პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტთან.
ეს პროცესი ასახულია **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლში** და სკოლა ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას.

ექსპერტების მიერ ვიზიტისას:

- დადასტურდა ანგარიშებისა და კორესპონდენციის ელექტრონული ფორმატით წარმოება - გამოიყენება **EFLOW დოკუმენტბრუნვის სისტემა**;
- სკოლის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია ითავსებს ანგარიშგების, რეაგირების, მონაცემთა წარდგენის და შეტყობინების პროცესს.

შედეგად, ნათლად დასტურდება, რომ:

- სკოლა უზრუნველყოფს **დროით და შინაარსობრივად სრულყოფილ** ანგარიშგებასა და კომუნიკაციას განათლების სექტორის მარეგულირებელ ორგანოებთან;
- იყენებს შესაბამის ელექტრონულ სისტემებს ანგარიშგების სიზუსტისა და არქივაციისთვის;
- ასრულებს საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას კანონით დადგენილი წესით.

3.6.2 (4) ინდიკატორის მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის EFLOW
2. საქმისწარმოების წესი
3. მატერიალური ჟურნალები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

კოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია პირველადი ინფორმაცია. სკოლის ადმინისტრაცია საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ Facebook-ს, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაზე, სასწავლო და არაფორმალურ აქტივობებზე.
საზოგადოებასთან კომუნიკაცია ასევე მიმდინარეობს ღია კარის დღეებით, სკოლის მიერ განსაზღვრული ვიზიტის დღეებითა და უკუკავშირის ფორმების მეშვეობით.
სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა, რაც აჩვენებს სისტემურ მიდგომას კომუნიკაციის მართვისადმი.

3.6.3 (1) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ინფორმაციის სიზუსტესა და დროულ გამოქვეყნებაზე. წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის წესით რეგულირდება სკოლის მხრიდან ინფორმაციის გავრცელების პროცედურები.
ფეისბუქ გვერდზე გავრცელებული ინფორმაცია თანხვედრაშია სკოლის ოფიციალურ მიზნებსა და ღირებულებებთან. არ გამოვლენილა მცდარი ან დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების ფაქტი.

3.6.3 (2) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა მუშაობს ხარისხის მართვის დოკუმენტის საფუძველზე, რომელშიც გაწერილია უკუკავშირის მოპოვებისა და გამოყენების პროცედურები.
ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს უკუკავშირის მიღების და დამუშავების ინსტრუმენტები (კითხვარების ნიმუშები). შედეგების ანალიზი და საფუძვლიანი გამოყენება სკოლის მიერ აღიარებულია როგორც მომდევნო ეტაპი — ანუ პროცესს საფუძველი უკვე აქვს.

3.6.3 (3) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა ახორციელებს სწავლა-სწავლების პროცესს მხოლოდ ქართულ ენაზე. EMIS-ის პლატფორმაზე სკოლის ვებგვერდი ფუნქციონირებს და ინფორმაცია წარმოდგენილია სრულად ქართულ ენაზე. ვებგვერდი მოქმედია და ღია საზოგადოებისთვის.

3.6.3 (4) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:

- მისია, ხედვა, ღირებულებები
- სტრუქტურა და ორგანიზაციული ერთეულები
- საგანმანათლებლო პროგრამები და ჩარიცხვის პროცედურები
- სასწავლო პროცესის დეტალები
- მხარდაჭერის სერვისები
- გასაჩივრების მექანიზმები
- ფინანსური მდგრადობის ანგარიში
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედეგები
- საკონტაქტო ინფორმაცია

ინფორმაცია პერიოდულად განახლდება და წარმოადგენს სკოლის ღია კომუნიკაციის პოლიტიკის რეალიზაციას.

3.6.3 (5) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი
2. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში
3. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებლივი აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის და 2025 წლის მოქმედი ბიუჯეტები და მათთან შესაბამისობაში მყოფი სამოქმედო გეგმა ფინანსური ხარჯების შესაბამისობის დადგენის ანალიზისთვის. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია ასახავს, რომ სკოლა ფლობს საჭირო ფინანსურ რესურსებს დაგეგმილი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული აქტივობების შესასრულებლად.

ფინანსური რესურსის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. დამატებითი შემოსავალი გენერირდება ფასიანი, არასავალდებულო ცეკვის წრის მეშვეობით, რომლის მიზნობრივი დანახარჯები მიმართულია სკოლის ინფრასტრუქტურისა და სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებაზე.

3.7.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ფინანსური რესურსების დაგეგმვის პროცესი სკოლის მიერ ხორციელდება მომავალი წლის სავარაუდო შემოსავლებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაცია ასახულია სკოლის ბიუჯეტში, რომელიც განიხილება და დამტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ.

ფინანსური პროცესების გამჭვირვალობას უწყობს ხელს შესყიდვების წლიური გეგმა, რომელიც დაყრდნობილია სკოლაში კათედრებისა და ადმინისტრაციის მოთხოვნებზე.

მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგი და ფინანსური ანგარიშგება. ანგარიშები ხელმისაწვდომია სკოლის სათემო მართვის სტრუქტურებისთვის, რაც ზრდის ფინანსური მართვის პასუხისმგებლიანობასა და ღიაობას.

3.7.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის 2024 წლის ბიუჯეტი
2. სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
3. შესყიდვების დოკუმენტაცია
4. ხელშეკრულებები
5. სამეურვეო საბჭოს ოქმები
6. საინვენტარიზაციო დოკუმენტაცია
7. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებლივი აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

სკოლის თვითშეფასების მიხედვით, შიდა რეგულაციები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და უსაფრთხოებას. ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რაც უზრუნველყოფს ქცევით გამოწვევებზე დროულ, თანასწორ და სამართლიან რეაგირებას. სკოლა ახორციელებს საჭიროებისამებრ რეფერირებას შესაბამის უწყებებში, რაც მოწმობს მასში არსებული დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებას. ასევე, მოსწავლეებს, მშობლებსა და თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა წერილობით მიმართონ ადმინისტრაციას საკუთარი უფლებების დასაცავად, რაზეც სკოლა უზრუნველყოფს სწრაფ და გამჭვირვალე რეაგირებას.

4.1.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული **შინაგანაწესი**, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საინფორმაციო დაფაზე. დოკუმენტის განხილვა და განახლება ხდება სკოლის საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით. შინაგანაწესის შინაარსის გაცნობა სისტემატურად ხორციელდება როგორც **მშობელთა კრებებზე**, ასევე **მოსწავლეთა საინფორმაციო შეხვედრებისას**. სკოლაში მოქმედებს **მრჩეველთა საბჭოც**, რომელიც სკოლის საზოგადოების

მხრიდან წამოსულ რეკომენდაციებს ეხმიანება. აღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფს რეგულაციების რეალურ გაზიარებას და არა მხოლოდ ფორმალურ ხელმისაწვდომობას.

4.1.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლის მიერ წარდგენილი თვითშეფასების მიხედვით, მოსწავლის ჩარიცხვის შემდეგ კანონიერი წარმომადგენელი ხელს აწერს **მკაფიო, გამჭვირვალე და კანონმდებლობის შესაბამის ხელშეკრულებას**, რომელიც ასახავს როგორც სკოლის, ისე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულებაში ასევე გაწერილია მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის, ფოტოსურათების გამოყენების წესი პროექტებში მონაწილეობის დროს, რაც ადასტურებს სკოლის პასუხისმგებლობას მონაცემთა დაცვის მიმართულებით....

4.1.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. სტრუქტურული ერთეულების ოქმები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას გააჩნია ჩამოყალიბებული და **დამტკიცებული შიდა რეგულაციები**, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის სამართლებრივ მექანიზმებს.

- რეგულაციები სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ეფუძნება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ წესებს.
- სკოლის პრაქტიკა უზრუნველყოფს **გამჭვირვალობასა და თანასწორობას** — საჯარო ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება საინფორმაციო დაფისა და სკოლის სოციალური ქსელის მეშვეობით.
- **სსსმ მოსწავლეთა რეგისტრაციისთვის** არსებობს სპეციალური პროცედურა, რომელიც ეყრდნობა მულტიფუნქციური ჯგუფის დასკვნას და ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს.

დამტკიცებული რეგლამენტი განსაზღვრავს:

- მოსწავლის **ჩარიცხვისა და გადმოსვლის პროცედურებს**,
- **საფეხურის დაძლევის კრიტერიუმებს**,
- **მობილობისა და სტატუსის ცვლილების წესებს**,
- და ყველა შესაბამის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ვადებს.

დოკუმენტური მტკიცებულება არსებობს იმის თაობაზე, რომ სკოლა არა მხოლოდ იცავს ფორმალურ პროცედურებს, არამედ უზრუნველყოფს ინფორმაციის **შესაბამისად დროულ და ადეკვატურ კომუნიკაციას** სკოლის საზოგადოებასთან.

4.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მოქმედებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლას ასევე აქვს შემუშავებული წესი.

- მოსწავლეთა ჩარიცხვა და ამორიცხვა რეგისტრირდება **კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით**.
- პროცესში უზრუნველყოფილია **დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების** გამოცემა და რეგისტრაცია.
- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა სტატუსის შეწყვეტაც სრულად რეგულირდება და კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

- მშობლებთან კომუნიკაციისთვის გამოყენებულია **წერილობითი შეტყობინების ფორმა**, რაც გამორიცხავს გაურკვევლობას და აძლიერებს მშობლების ინფორმირებულობას.

4.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას აქვს დამატებითი ფასიანი მომსხურება - ცეკვის წრე, რის შესახებაც ვიზიტის პერიოდში **საჯარო ინფორმაცია წარმოდგენილ იქნა როგორც ვებ-გვერდზე, ასევე საინფორმაციო დაფაზე**.

სკოლის გადაწყვეტილებები მომსახურეობის სახეების, პროგრამების შესახებ ემყარება მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობასა და ინტერესებს.

სკოლის **შინაგანაწესი და პროგრამების შინაარსი ხელმისაწვდომია** ოფიციალურ არხებზე.

4.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის შიდა და გარე კომუნიკაცია ეფუძნება **გამჭვირვალობას და თანასწორობის პრინციპს**.

კომუნიკაცია ხორციელდება როგორც შიდა ჯგუფებში (სოციალური ქსელი, შეხვედრები), ისე მშობლებისთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში.

სკოლის დირექტორი და ადმინისტრაცია აქტიურად აწვდიან **განახლებულ ინფორმაციას პერსონალს და საზოგადოებას** განათლების სიახლეებისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

4.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის
2. დამატებითი მომსახურების ანოტაცია
3. სკოლის ვებგვერდი
4. სკოლის სოციალური გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთაან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ფორმალიზებული და მკაფიოდ დოკუმენტირებული ადაპტაციის მექანიზმი, თუმცა ეყრდნობა მრავალწლიან პრაქტიკას და გუნდურ კულტურას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ფორმალური წესი, ადაპტაციის მხარდასაჭერად გამოიყენება ექსკურსიები, არაფორმალური აქტივობები და პედაგოგთა მხრიდან ინდივიდუალური მიდგომა.

4.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნ დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მასწავლებელთა ჩართულობითა სკოლა წარმატებით ახორციელებს მოსწავლეთა ადაპტაციის პრაქტიკულ მხარდაჭერას, განსაკუთრებით სასწავლო წლის დასაწყისში. აქტივობები მოიცავს ექსკურსიებს, კულტურულ ღონისძიებებს და გარე ვიზიტებს. სკოლა ასევე უზრუნველყოფს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმებს და სპეციალისტების მხარდაჭერას საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, სსსმ მოსწავლეებისათვის).

4.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნ დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეებს გაეწევათ ინდივიდუალური კონსულტაციები მასწავლებელთა მიერ, რაც მიზნად ისახავს აკადემიური სირთულეების გადალახვას. დამატებით ტარდება მოსამზადებელი შეხვედრები ოლიმპიადებისა და კონკურსებისთვის.

4.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

მოსწავლეებს ეძლევათ დროული მხარდაჭერა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით (მაგალითად: ექსტერნატი, შინსწავლება, სტატუსის აღდგენა ან შეწყვეტა, მობილობა). ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლა რეაგირებს წერილობით განცხადებებზე და ახორციელებს დროულ კომუნიკაციას, მათ შორის დოკუმენტების გაგზავნას მიმღებ სკოლებში.

4.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები და არაფორმალური აქტივობები: English Club, ინტელექტუალური თამაშები, პროექტები და საერთაშორისო თანამშრომლობა (eTwinning).

აღსანიშნავია, რომ აქტივობების განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგები და უკუკავშირიც არის გათვალისწინებული. მოსწავლეთა ინიციატივები ფინანსდება და მხარდაჭერილია ადმინისტრაციის მხრიდან.

4.2.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, მოქმედებს თვითმმართველობა, მოსწავლეები ახორციელებენ ინიციატივებს. უკუკავშირის მიღების მექანიზმი რეალურად ფუნქციონირებს (სოციალური სივრცე, შეხვედრები, ინტერვიუები, ელექტრონული ფორმები). ზოგიერთ იდეას სკოლა უზრუნველყოფს საჭირო რესურსებით.

4.2.1.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სადამრიგებლო პროგრამები
3. ფოტომასალა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლამ ვიზიტის დროს გაგვიზიარა, რომ აქტიურად ახორციელებს თანამშრომლობას პროფესიულ სასწავლებლებთან, გორის უნივერსიტეტთან, აწყობს ვიზიტებს როგორც ტიპიური, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. არსებობს პრაქტიკა შეხვედრების ორგანიზებისა, რაც ხელს უწყობს პროფესიული არჩევნის შესაძლებლობების გაცნობას. ეს მიუთითებს მომსახურების რეალურ ხელმისაწვდომობაზე.

პოზიტიური პრაქტიკა:

- ვიზიტები პროფესიულ კოლეჯებში
- სსსმ მოსწავლეების გათვალისწინება
- შიდა სკოლური შეხვედრები პროფესიულ დაწესებულებებთან

4.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აორგანიზებს შეხვედრებს უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიიღონ გადამოწმებული ინფორმაცია. ინფორმაცია გადის როგორც ვებგვერდზე, ისე სოციალურ ქსელებში. მშობლები რეგულარულად ერთვებიან პროცესში.

სკოლის მიერ გაზიარებული პრაქტიკაა:

- საჯარო შეხვედრები მშობლებთან
- ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია
- თემატური ღონისძიებების ორგანიზება

4.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა აცხადებს, რომ გეგმავს რეგულარულად შეისწავლოს მოსწავლეთა ინტერესები და უკუკავშირი. ვიზიტისას დასტურდება, რომ პროფესიული ორიენტაციის თემატური აქტივობების დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს. მიუხედავად იმისა, რომ **კონკრეტული შეფასების ინსტრუმენტები** ჯერ სრულად ჩამოყალიბებული არ არის, დაფიქსირებულია განზრახვა მათი შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის.

4.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სადამრიგებლო პროგრამა
ფოტომასალა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას **დოკუმენტურად აქვს შემუშავებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი**, რაც აისახება შემდეგ კომპონენტებში:

- **ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები** (დასტურდება რეგულაციებითა და პრაქტიკით)
- **ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგის ჯგუფი**, რომელიც პერიოდულად აკვირდება და აფასებს პროცესს
- მოსწავლისთვის შექმნილი ინდ. გეგმა მოიცავს როგორც საგნობრივ ნაწილს, ასევე ინფორმაციის ანალიზს ქცევით, კოგნიტურ, ემოციურ და მოტორულ სფეროებზე

სკოლას ჰყავს კანონის შესაბამისად **სპეციალური მასწავლებელი და მოსწავლის ასისტენტი**, რომელთა ფუნქციები გაწერილია და დადასტურებულია ინტერვიუებითა და ხელშეკრულებით.

4.2.3.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში მხარდაჭერა მრავალმხრივია:

- მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლის, ასისტენტის, მშობლების და ადმინისტრაციის **თანამშრომლობითი მიდგომა**
- **ისგ ჯგუფის შეხვედრების ოქმები**, რომლითაც დადასტურდა, რომ მშობლები და ყველა შესაბამისი პირი ჩართულია გადაწყვეტილებების მიღებაში
- **სპეცმასწავლებლის მიერ გაწერილი სამოქმედო გეგმა და გრაფიკი**, რაც აჩვენებს პროცესის სტრუქტურულობას

- **ღონისძიებებისა და თარიღების აღნიშვნა**, რომელიც ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას (დაუნის სინდრომის დღე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღე და სხვა)
- **სოციალური ჩართულობა და ინკლუზიური აქტივობები** (სსსმ მოსწავლეების ჩართულობა სკოლის ყველა სახის პროექტსა და აქტივობაში)

გარდა ამისა, სკოლაში გამოიყენება როგორც გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები.

სკოლამ დაასაბუთა, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხდება სისტემურად, მექანიზმებით და პრაქტიკული მხარდაჭერის საფუძველზე. სასკოლო საზოგადოება, მათ შორის მშობლები და სპეციალისტები, რეალურად არიან ჩართული პროცესში. ინდივიდუალური გეგმების არსებობა, მონიტორინგი და სერვისების ხელმისაწვდომობა ადასტურებს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას.

4.2.3.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ისგ
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საშტატო განრიგი
4. შრომითი ხელშეკრულებები
5. შეხვედრების ოქმები
6. ფოტომასალა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ვიზიტის დროს გამოკვეთილი პრაქტიკის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს დამატებით მომსახურებას:

- **ცეკვის წრის სერვისი** – ფუნქციონირებს საგაკვეთილო პროცესის შემდეგ და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სკოლის მიერ შერჩეული კონტრაქტორი. მომსახურება განხორციელებულია წერილობითი **ხელშეკრულების საფუძველზე**, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივ მოწესრიგებულობას.

4.2.4.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ცეკვის წრეში ჩართვა ეფუძნება მოსწავლეების **ნებაყოფლობით არჩევანს**, მშობლების გადაწყვეტილებასა და წინასწარ შეთანხმებულ პირობებს. წრის ფუნქციონირება **გათვალისწინებულია სკოლის სასწავლო გეგმაში** და ორგანიზებულია იმის მიხედვით, თუ რამდენი მოსწავლე გამოხატავს ინტერესს. გარდა ამისა:

- **მიმდინარე მომსახურება არ არის სავალდებულო**, ღიაა მხოლოდ მსურველებისთვის;
- ცეკვის წრის პედაგოგებთან გაფორმებულია **ხელშეკრულებები**, რაც უზრუნველყოფს წესრიგს, შეთანხმებებსა და მოლოდინების განსაზღვრას.

4.2.4.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა უზრუნველყოფს **უსაფრთხოების ზომების დაცვას**:

- ცეკვის წრის მოსწავლეებზე პასუხისმგებელია წრის პედაგოგი;
- ფიზიკურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს **დარაჯი**, **დირექტორის მოადგილე** და ადმინისტრაცია;
- მეცადინეობა იმართება **საგაკვეთილო პროცესის შემდეგ**, მოსწავლის სასწავლო დატვირთვის გათვალისწინებით.

4.2.4.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ცეკვის წრის პროგრამის ანოტაცია
2. სკოლის დირექტორის ბრძანებები
3. ხელშეკრულება პედაგოგთან
4. ხელშეკრულებები მშობლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი_საფეხური:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში არსებობს შესაბამისი წესით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების, შესაბამისად - ჩართულობის მექანიზმები. კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, იაზრებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობან და აღნიშნულზე ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

2.1.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. კურიკულუმის შემუშავება დაეფუძნა კათედრის წევრთა რეკომენდაციებს, ამასთან - მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შესაძლებლობების გააზრებას. კურიკულუმში ჩანს სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ავტორიზაციის

ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს შორის გამართული ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების გათვალისწინებას. გასაუბრებებზე აღინიშნა, რომ შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებთ მოსწავლეების შედეგებსაც. საავტორიზაციო პროცესში წამოდგენილია კათედრის სხდომისა და მშობელთა კრებების ოქმები, რომლებიც ადასტურებს მშობელთა ინფორმირებას და ჩართულობას.

2.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო თვალსაჩინოა კათედრათაშორისო თანამშრომლობა. როგორც კათედრის შიგნით, ისე კათედრებს შორის, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთობლივად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. ასევე სკოლის წარმომადგენლები აღწერდნენ პარალელური კლასების (დამრიგებლების და მასწავლებლების) თანამშრომლობის პროცესებს, კურიკულუმის შემუშავების მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა არა სისტემური და სრულყოფილი, მაგრამ გარკვეული მტკიცებულებები მოსწავლეთა უკუკავშირის მიმართულებით, ხოლო მშობლებთან თანამშრომლობის მიმართულებით სკოლას გააზრებული აქვს სამომავლო საჭიროება. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შეიმუშავების საკვანძო ეტაპია კათედრის ფორმატში თანამშრომლობა. მსაწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები თანხმდებიან თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებზე, თემებზე, ქვეცნებებსა და ცნებებზე, არჩევენ კომპლექსურ დავალებებს და ქმნიან შეფასების რუბრიკებს. სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნილი კურიკულუმი, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს და შემდეგ უკვე სამეურვეო საბჭოს, შესაბამისად, ეს პროცესი კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას

2.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში შემუშავებული კურიკულუმები, პირველ ეტაპზე, ზიარდება და განიხილება საგნობრივ კათედრებზე, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კათედრების ოქმის მტკიცებულებები. სკოლის წარმომადგენლები ინტერვიუების დროს

აღწერდნენ, თუ როგორ ხდება მშობლის ინფორმირება და მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის ოქმი ცხადყოფს, რომ განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ერთობლივი ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ძირითადად, მიეწოდებათ სკოლის სოციალური მედიის გვერდის მეშვეობით ან ინდივიდუალურ შეხვედრებზე. სკოლის ვებ-გვერდი დახვეწის რეჟიმშია, ინტერვიუების დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ ვებ-გვერდზე კურიკულუმების შესახებ ინფორმაციის ასახვას.

2.2.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. საგნობრივი კურიკულუმები;
3. საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
4. კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული შემოქმედებითი

	დავალებები და აქტივობები შეიცავს გამოწვევას, იწვევს ცნობისმოყვარეობას მოსწავლეებში და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე სასკოლო საზოგადოების (კათედრის წევრები, მშობლები, მოსწავლეები) ჩართულობით. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი ხასიათის დავალებები მოსწავლეებს გაუღვივებს ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის განცდას, მისცემს მათ ავტონომიურობისა და შემოქმედებითობის გამოვლენის საშუალებას.
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანს, რომ შეთანხმებულად მუშაობენ და გეგმავენ სასწავლო პროცესს. სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდებიან და ქმნიან სამოქმედო გეგმას. მასში გაწერილი სამუშაო საკითხები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის მახასიათებლებია. აქვთ შემუშავებული კურიკულუმები ყველა საფეხურზე და ნერგავენ მას სასწავლო პროცესში, თუმცა აქვთ განხორციელებული პროექტები, რომელიც კურიკულუმის მიღმაა, მაგ. ინტეგრირებული გაკვეთილი ინგლისურში, ხელოვნებასა და ისტ-ში. შეფასებისას მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკას, მათთვის ცნობილია როგორ შეფასდებიან, გრძნობენ პასუხისმგებლობას შეფასების პროცესში, აქტიურობენ კრიტერიუმების შემუშავებისას. კათედრა მუშაობს და ქმნის როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალური განათლების ხელშემწყობ გარემოს მოსწავლეებისათვის; სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები (გერმანულის, ინგლისურის), რომელშიც არიან სამივე საფეხურის მოსწავლეები წევრიანდებიან, წარმოდგენილია კლუბის ფუნქციონირების შესაბამისი მასალები. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ პროექტებში

	(მაგ. e-twinning) აზიარებენ საკუთარი ქვეყნის გამოცდილებას და ეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის კულტურას.
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის პედაგოგების მიერ თანამშრომლობით. კურიკულუმის ჩარჩო, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინარე გამოცდილებას, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს შინაგანი ძალების გააქტიურების საშუალებას და ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და განვითარებაზე.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში შემუშავებული კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებასა. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, მატერიალური რესურსები.
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილება, მათი ინტერესები, შესაძლებლობები, წარმოდგენილი რესურსები იძლევა საშუალებას პროცესი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული.
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები და აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე, საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები,

	გამოხატონ ემოციები და ინტერესები. მოწოდებულულ ჩარჩო ცხრილებში წარმოდგენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით სწორად იყო შევსებული, სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებების დასახელებები, ასევე ქვეცნებები. კომპლექსური დავალებების იდეები, კონტექსტ მაგალითები შესაბამისი რესურსებით იყო წარმოდგენილი.
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ტექნოლოგიებში (I-VI კლასები) შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმები შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. შერჩეული კომპლექსური დავალებები მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს, გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები,საჭიროებები და შესაძლებლობები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს. კურიკულუმის ჩარჩო მოწესრიგებულია და ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები და შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური დავალებები , რომლებიც მასწავლებლებთან გასაუბრებით როგორც ჩანს, შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. კათედრამ წარმოადგინა ინტეგრირებული დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს ემხარება საგანთაშორისო კავშირების დანახვასა და ტრანსფერის გაკეთებაში.

2.1.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. შერჩეული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული, როგორ ავითარებს ამ უნარებს შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა, თუმცა პედაგოგები კათედრაზე ამ მიმართულებით აგრძელებენ მუშაობას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იმგვარადაა შექმნილი, რომ ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების - სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, საკითხები - სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, ასევე მითითებულია კონტექსტ - მაგალითები და ქეისები შედარებისთვის, ასევე გაწერილია გამოყენებული რესურსებიც, ყველაფერი ეს კი ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კურიკულუმებში გამოიკვეთა მცირე ხარვეზები: · საგანში „ჩვენი საქართველო“ არ არის გაწერილი კომპლექსური დავალება ყველა სავალდებულო თემისთვის; · საგნებში „მოქალაქეობა“ და „ისტორია“ - თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები არ არის გამიჯნული ერთმანეთისგან, შესაბამისად საკითხის ფარგლებში დასამუშავებელი სამიზნე ცნებები და გამოყენებული რესურსებიც არ არის მკაფიო, ასევე ზოგ შემთხვევაში (მაგ: მოქალაქეობის მე-7 კლასის კურიკულუმი) არ არის

	მითითებული თუ რომელი ქვეცნება დამუშავდება თითოეული სამიზნე ცნების ჭრილში, ზოგ შემთხვევაში კი ქვეცნებები შეუსაბამოა და საკითხებს ემთხვევა (მაგ: მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმი); ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მასწავლებლებს ვიზიტის პირველივე დღეს მიეცათ უკუკავშირი ხარვეზებისა და მათი გამოსწორების აუცილებლობის შესახებ. **რჩევა:** საკითხები ჩამოშალეთ მკაფიოდ, ისე, რომ გარკვევით ჩანდეს თემის ფარგლებში დასამუშვებელი თითოეული მათგანი, მის გასწვრივ კი შესაბამის სვეტებში მიუთითეთ: კონკრეტული საკითხის ჭრილში რომელი სამიზნე ცნება და ქვეცნება დამუშავდება, ასევე მიუთითეთ ის რესურსები, რასაც გამოიყენებთ კონკრეტული საკითხის დასამუშავებლად.
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, საფეხურების შესაბამისად.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექანიზმს შორის. სავალდებულო თემების ფარგლებში მუშავდება საფეხურის სამიზნე ცნებები. კომპლექსური დავალებების იდეებში იკვეთება სამიზნე ცნებისა და ქვეცნებების ლოგიკური მიმართება. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად, რასაც ადასტურებს კურიკულუმის ჩარჩოში მოცემული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ყველა საგანში თემაში ყველა სამიზნე ცნება კომპლექსურით არ მუშავდება, თუმცა მასწავლებლებს აქვთ ხედვა, თუ როგორ დამუშავდება კომპლექსურის გარეშე დარჩენილი სამიზნე ცნებები. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, მასწავლებლები ამისათვის გამოიყენებენ სხვადასხვა სახის დავალებებს, მათ შორის შემაჯამებელს. განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. დაწყებითი და საბაზო საფეხურები ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტით დადგენილ თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხოლო

	საშუალო საფეხურზე- პრიორიტეტულ მიმართულებებზე(მაკროცნებები) ორიენტირებულ სავალდებულო პროექტების განხორციელებას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენაში საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. ყველა თემაში ასახულია შუალედური მიზნები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას.
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის გზას შუალედური მიზნებით სასწავლო წლის განმავლობაში, რაც გამოიხატება თითოეული თემის შესაბამისი კომპლექსური ტიპის დავალებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კოპლექსური ტიპის დავალებების შერჩევა თემების შესაბამისად. წარმოდგენილ მასალაში ჩანს მასწავლებელი რას და როგორ გამოიყენებს წლის მანძილზე, რომელ საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების რომელ ინსტრუმენტებს სთავაზობს საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად.
სპორტი	კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიანიშნებს, რომ სკოლა აქვს გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს თემატური ბლოკები, რომელთა ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული

	სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება წარმოადგინონ კონკრეტული პროდუქტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები თემის/საკითხის მიმართ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება, როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. კომპლექსური ბუნების დავალებები კი ხელს უწყობს მოსწავლეს თავად შეძლოს საკუთარი სწავლების სწავლა.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. შუალედური დავალებების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ორიგინალური დავალებები, რომლებიც მიემართება სამიზნე ცნებებს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრეს გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები, თუმცა ქართულში III და IV კლასებში არის თემები, სადაც არ არის დაკონკრეტებული რომელი ცნების და ქვეცნების დამუშავება ხდება, განსაკუთრებით ეს ეხება ცნება "გრამატიკა (პრაქტიკულს)", ამიტომ სკოლას მიეცა რჩევა გაასწოროს აღნიშნული. უნდა აღინიშნოს, რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით.

2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან გასაუბრებამ, განხორციელებულმა პროექტებმა, წარმოდგენილმა შემოქმედებითმა დავალებებმა ცხადყო, რომ სკოლაში საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი გამართულია. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, რადგან მოხდეს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს, როგორც ინტერნეტ-რესურსებს, ისე მატერიალურს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
უცხოური ენები	კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს და ციფრულ მასალას სასწავლო პროცესში. აღნიშნული რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ სკოლა ძირითადად ეყრდნობა სამინისტროს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს(მუსიკა, სახ.და გამოყენებითი ხელოვნება) . ასევე, სასწავლო პროცესის უკეთ გააზრებისათვის პედაგოგები გამოიყენებენ დამატებით ელექტრონულ რესურსს, რომელიც კურიკულუმში რესურსების ველში აქვთ გაწერილი. საერთო ჯამში, კურიკულუმებით გათვალისწინებული სასწავლო/საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები(გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები ფოტო,

	ვიდეო და აუდიო მასალები, ელექტრონული ბმულები). მათი შესაბამისად გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	კურიკულუმში ასახული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები, ვიდეო გაკვეთილები, რომლებიც ჰიპერბმულებით არის წარმოდგენილი ხელს შეუწყობენ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას.
სპორტი	სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას კათედრული მუშაობის შედეგად, იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა სრულყოფილი საშუალება გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით. მასწავლებლები, საჭიროების შემთხვევაში, იყენებენ დამატებით მატერიალურ თუ არამატერიალურ რესურსებს მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად, სამიზნე ცნობების კიდევ უფრო მეტად გასაცნობიერებლად და თემატური კონტექსტების უკეთ გასაანალიზებლად.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი (school.emis.ge, Scratch. mit.edu, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", Sway, Powerpoint, Word, Excel, და სხვა) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ემსახურება კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული სამიზნე ცნების დამუშავებას. რესურსები თემების მიხედვით წარმოდგენილია ისე, რომ თითოეული მათგანი მიზნად ისახავს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. რესურსების მრავალფეროვნება ითვალისწინებს დიფერენცირებულ

	სწავლებას და საშუალებას აძლევს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს მიაღწიოს სასწავლო მიზანს.

2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში წარმოდგენილი კურიკულუმები და შემოქმედებითი დავალებები, პროექტები მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირდება. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 5 სსსმ მოსწავლე. სპეციალურ მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ აღნიშნული მოსწავლეების შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაზე. ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მუშაობენ ადაპტირებულ შემოქმედებით დავალებებზე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების (ინდ. სასწავლო გეგმის) შემუშავებითა და დანერგვით, სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით.
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრა მუშაობს 5 სსსმ მოსწავლესთან, მათთვის შექმნილი ისგ ნიმუშები გაზიარებულია, ასევე წარმოდგენილია ადაპტირებული დავალებების ნიმუშები და მოსწავლეთა ნამუშევრები. სასწავლო პროცესის განმავლობაში, კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მიგნებებსა და გამოწვევებს, ცვლიან მიდგომებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად, მოსწავლეთა ინტერესებისა და აკადემიური მოსწრების შესაბამისად.

ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და სწავლის პოტენციალს. გათვალისწინებულია სსსმ და შშმ მოსწავლეთა შესაძლებლობები და ამის მიხედვით შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები; წარმოდგენილია ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა სურვილებს, სთავაზობენ არჩევითი ხასიათის დავალებებს და ფასილიტაციას უწევენ პროექტებზე/კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობის დროს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ხდება კომპლექსური ტიპის დავალებების მოდიფიცირება და მორგება მოსწავლის საჭიროებაზე. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხ იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. დიფერენცირებისთვის გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.
სპორტი	ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის

	მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლას აგრეთვე ამ მიზნით განსაზღვრული აქვთ სათანადო აქტივობები და რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური ხასიათის დავალებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აარჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი და შეასრულონ დავალება. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია განსხვავებული თემები და კომპლექსური დავალების იმგვარი იდეები რომელიც ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მაგ: სასკოლო ფესტივალი, კონფერენცია, პრეზენტაცია. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე პედაგოგები ახდენენ დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის, თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ.
ტექნოლოგიები	დაწყებითი კლასების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო სასწავლო მასალა , რაც საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს მასწავლებელს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე და აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილებაც.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას (ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს), მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისა და განსხვავებული აკადემიური დონეების მქონე ბავშვების სრულფასოვან

	ჩართულობას სასწავლო პროცესში. სსსმ მოსწავლეებისათის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი. გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.როგორც პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, იყენებენ და მომავალ სასწავლო წელსაც აუცილებლად გამოიყენებენ ,, მოსწავლის თვითშეფასებას'', რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, ამ დროს მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის გაანალიზებას ,რის შედეგადაც მოსწავლეს უვითარდება თვითეფექტურობის განცდა და ხდება თავდაჯერებული.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იყენებენ მრავალფეროვან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, კერძოდ, საშინაო დავალების შეფასების რუბრიკა, საკლასო დავალების შეფასების რუბრიკა, თვითშეფასება, კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა, შეაჯამებელი დავალების ანალიზი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, აღნიშნეს, რომ იყენებენ სხვადასხვა განმავითარებელი შეფასების

	რუბრიკებს, მათ შორის: სოლო ტაქსონომია, მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და ა.შ.
უცხოური ენები	შეფასებისას კათედრა ხელმძღვანელობს განმსაზღვრელი შეფასების მოდელით, რაც გულისხმობს; საშინაო დავალების კომპონენტის გაუქმებას და მიმდინარე, საკლასო და შემაჯამებელ დავალებებში ქულის დაწერას. 1-4 კლასებისათვის კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც წინასწარ აცნობს მოსწავლეებს სასწავლო პროცესში. განსაზღვრელი შეფასების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილია შემაჯამებლის ნიმუშები და შეფასების რუბრიკები, რომლითაც მასწავლებლები ზომავენ მოსწავლეთა მიერ აკადემიურ უნარების ათვისების დონეს. შუალედური მიზნების წარდგენისას წინასწარ აცნობენ სამიზნე ცნების შესაბამის კრიტერიუმებს, ხოლო განხორციელების პროცესში მოსწავლეთა მიღწევები იზომება ქულებით, აკადემიური უნარების შესაბამისად.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების შესწავლის საფუძველზე(სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა), შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს და იძლევა საგნობრივი სტანდარტებით დადგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. **რჩევა:** შესწავლილი შეფასების რუბრიკები უმთავრესად ზოგად ხასიათისაა, შესაბამისად მასწავლებლებს ვურჩევდი უფრო მიზნობრივი, მოქნილი და კონკრეტული ცოდნის/უნარების შემოწმებაზე ორიენტირებული გაეხადათ შეფასების რუბრიკები.
სახელმწიფო ენა	შემუშავებული შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების

	მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, შეილება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს
მათემატიკა	სკოლა განმსაზღვრელ შეფასებად იყენებს შეფასების პირველ მოდელს, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვს გაწერილი. სკოლის ხედვით, განმსაზღვრელი შეფასების საშუალებით დგინდება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან.
სპორტი	კურიკულუმებში გათვალისწინებულ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების წვლილი აქვთ კარგად გააზრებული. მოსწავლეები დავალებების შესრულების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ განმავითარებელ შეფასებას კონკრეტულ კომპლექსური ხასიათის დავალებაზე მუშაობისას. ყოველთვის გასცემენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ კომენტარს, რაც უბიძგებს მოსწავლეებს დაშვებული შეცდომის გამოსწორებისკენ და აჩვენებს ამ გამოსწორების შესაძლო გზებს. თუმცა, სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების საგნობრივი რუბრიკები კურიკულუმში ასახული მხოლოდ ზოგიერთი თემისათვის, ამიტომაც სკოლას მიეცა **რჩევა** რათა შეიმუშაოს ყველა თემის შესაბამისი შეფასების მექანიზმი სამივე საფეხურზე.

ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები , ასევე შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა. რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას ყველა საგანში წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულ კომპლექსურ დავალებას და მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ.

2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების/შემუშავების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა (2024–2025);
3. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
4. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
5. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (სსსმ მოსწავლეებისთვისაც ჩათვლით);
7. კათედრის სხდომის/სამუშაო ოქმები;
8. განხორციელებული კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები;
9. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (I-VI კლასები) (კომპიუტერული ტექნოლოგიები);
10. შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა (კომპიუტერული ტექნოლოგიები);
11. სსსმ მოსწავლის ადაპტირებული შემოქმედებითი დავალება (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები);
12. კურიკულუმის ჩარჩო (ფიზიკური აღზრდა და სპორტი);

13. პროექტები: „კოლაგენი“, „მე ექსპერიმენტატორი“, „წყალი და მისი ანომალური თვისებები“ (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი მტკიცებულებები და აგრეთვე გასაუბრება საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, დაფუძნებული არის გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შესაძლოა სასწავლო წლის მანძილზე მოხდეს კურიკულუმის ცვლილება, რაც მოსწავლეთა საჭიროებებით იყოს გამოწვეული. სასწავლო პროცესი მთლიანად ეყრდნობოდა კურიკულუმებში წარმოდგენილ კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს და უზრუნველყოფდა სამიზნე ცნებების გათავისებას. მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის. ამასთანავე, წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მოლოდინები განსაზღვრულია თითოეული სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვანი საკითხების შესწავლისა და სიღრმისეულად გაცნობის საშუალებას, კომპლექსური ბუნების დავალებები კი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, უბიძგებს მას განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტები. არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები; ასევე მნიშვნელოვანია სკოლაში არსებული კლუბის საქმიანობა - როგორც მოქალაქეობის მასწავლებელმა აღნიშნა, კლუბის საქმიანობით მოპოვებული გრანტის ფარგლებში შეიძინეს სხვადასხვა სახის ინვენტარი და მოაწყვეს სივრცე არაფორმალური განათლებისთვის, ასევე როგორც მასწავლებელმა აღნიშნა კლუბის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს საზღვრისპირა სოფლებში მცხოვრები ბავშვების დაახლოვების პროცესს.

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი წარიმართება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრის წევრები ინდივიდუალურად მუშაობენ კლასებთან კურიკულუმში გაზიარებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად. მათ მიერ შუალედურ მიზნებზე მუშაობისათვის დათმობილი საათები არაერთგვაროვანია და ცვლილებას განიცდის საფეხურის, მოსწავლეთა აკადემიური საჭიროებებისა და შეთავაზებული აქტივობების მიზნების შესაბამისად. კულტურული მემკვიდრეობა, სამეწარმეო განათლება და ა.შ.);
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ესთეტიკური აღზრდის კათედრის პედაგოგები ეფექტურად ანხორციელებენ კომპლექსური ბუნების/შინაარსიანი კონტექსტის მქონე დავალებებს. სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის პედაგოგების მიერ თანამშრომლობით. კომპლექსური დავალებები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: ანალიზი, შედარება, დახარისხება, შეცვლა, აგება და დაშლა ნაწილებად. მოსწავლეებს შექმნილი აქვთ მრავალფეროვანი პროდუქტები, მასწავლებლები მუშაობენ საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტებზე და გრძელვადიან თემებში ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ პრიორიტეტულ მიმართულებებს(ეკოლოგია, კულტურული მემკვიდრეობა, სამეწარმეო განათლება და ა.შ.);
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კათედრა გეგმავს კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.
მათემატიკა	ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს პროცესი წარმართეს წარმოდგენილი კურიკულების შესაბამისად, დაინახეს ის გამოწვევები და ხარვეზები, რომლებიც საჭიროებენ დახვეწას და მოდიფიცირებას, შესაბამისად გეგმავენ ცვლილებები შეიტანონ და უფრო მოქნილი გახადონ კურიკულუმები.

სპორტი	სკოლაში სასკოლო პროცესი დაგეგმილია და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. მასწავლებლები წლის დასაწყისში იკრიბებიან კათედრაზე და შეიმუშავებენ, ცვლიან, ანახლებენ სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავენ სასწავლო პროცესს მთელი წლის განმავლობაში.
ტექნოლოგიები	პედაგოგთან გასაუბრების შედეგად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილი იყო კურიკულუმის შესაბამისად, მიემართებოდა გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. მომდევნო სასწავლო წელისათვის იგეგმება კურიკულუმის გადახედვა, გამოკვეთილი ხარვეზების გამოსწორება და საჭიროების შესაბამისად მოდიფიცირება
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. მომავალში დაგეგმილი აქვთ დიაგნოსტიკური მუშაობა, წელს მხოლოდ მე-6 კლასში განახორციელეს. ასევე წარმოდგენილი აქვთ კათედრის ოქმები, დამრიგებლის ანგარიში, გაკვეთილზე დასწრების და დაკვირვების ფორმები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესის წარმართვას კურიკულუმის შესაბამისად.

2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სასწავლო პროცესში, წარმოქმნილ პრობლემებზე რეაგირების მიმართულებით სკოლა აღწერდა არაერთ პრაქტიკას და მაგალითს, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლების თქმით, შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, მაგ. თუ რომელიმე აქტივობამ ვერ იმუშავა სწავლების პროცესში, ხდება მისი ცვლილება და სხვა აქტივობით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირდება ინდივიდუალური გეგმები. სკოლა აღწერდა, რომ ამ საჭიროებების დადგენას ახდენს მშობლებთან აქტიური კომუნიკაციითა და მათთან შეხვედრების შედეგად

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. სწავლა-სწავლების პროცესში მუდმივად ხდება დაკვირვება თუ სად იკვეთება სუსტი მხარე კურიკულუმის დანერგვისას, შესაბამისად სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე. თავის მხრივ, სკოლაში დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტიც ეხება ინდიკატორით გათვალისწინებულ საკითხებს.

2.2.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ხდება ცხადი, პედაგოგები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნული არის, რომ შეფასება უნდა იყოს ობიექტური და სანდო. იმავე დოკუმენტში ხაზგასმული არის, რომ მოსწავლემ კონკრეტულ საგანში უნდა იცოდეს რას მოელიან მისგან და რა კრიტერიუმებით აფასებენ მის ცოდნას. წარმოდგენილი შეფასების სქემები არის მკაფიო და ცალსახა, არ არის ორაზროვანი და არ იწვევს ორაზროვნებას შეფასების პროცესში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეებისთვის ნათელია თუ რის მიხედვით ფასდებიან ისინი, იციან, თუ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის გამჭირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ.

უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის სანდო და გამჭვირვალეა, რადგან მასწავლებლები წინასწარ ქმნიან დავალების პირობას, სთავაზობენ მკაფიოდ ფორმულირებულ შუალედური მიზნებს სასწავლო პროცესში. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რა ტიპის დავალებაზე იმუშავებენ და განჭვრეტენ; რა კრიტერიუმებით შეფასდებიან. მასწავლებელი აწარმოებს მოსწავლეთა მიღწევების მონიტორინგს, რაც გაკვეთილის მსვლელობისას ზიარდება კომენტარის, რუბრიკის ან ურთიერთშეფასების სახით. შეფასება ვალიდურია, რადგან მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რომ ქულებს დააგროვებენ გაკვეთილზე აქტიურობით, რაც გამოიხატება; 4 აკადემიური უნარის (კითხვა, წერა, მოსმენა, ლაპარაკი) შემცველ დავალებებში მონაწილეობითა და საბოლოო ეტაპზე, მათ მიერ შექმნილი პროდუქტის წარდგენით აუდიტორიის წინასე. ასევე, შემაჯამებლების შესრულებით, რომლის ფორმის შესახებ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია და შეფასების კრიტერიუმები, საფეხურების მიზნების შესაბამისად. შეფასების ობიექტურობას, მასწავლებლის ინდივიდუალური დაკვირვებების შეგროვებასთან, წინასწარ გაზიარებულ განმავითარებელ და განმსაზღვრელ რუბრიკის მიხედვით შეფასებასა და მოსწავლეთაგან შეგროვებულ და ურთიერთგაზიარებულ უკუკავშირთან ერთად, განაპირობებს კათედრის წევრთა ურთიერთდასწრება და ურთიერთშეფასება, რომლის რეფლექსიები წარმოდგენილია უცხოური ენის მასალებში. ჩამოთვლილი ფაქტორები, კათედრის დონეზე, განაპირობებს შეფასების სისტემის სამართლიანობას და სასწავლო გეგმის მიზნებთან თანხვედრას.
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებით ხელოვნებისა და მუსიკის საგნებისათვის კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუშები. რუბრიკები განსაზღვრავს საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნებს, შესაბამისად, შეფასება არის ვალიდური და სანდო . დოკუმენტაციაში ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ

	წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; რადგანაც მას იცნობენ მშობლები ,მოსწავლეები, საგნის მასწავლებლები და ადმინისტრაცია.
სახელმწიფო ენა	მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე არსებობს დიაგნოსტირების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა, რასაც მოწმობს სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
მათემატიკა	პედაგოგების მიერ შექმნილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელი შეფასებებს მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასების, შემაჯამებელი წერის რუბრიკებიდან, ვერიფიკაციის მექანიზმიდან ჩანს რომ შეფასების სისტემა, ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტურია.
სპორტი	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმას“. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავდება შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა. სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც დეტალურად გაწერილია მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცესი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე მოსწავლისთვის მიწოდებული განმავითარებელი კომენტარის ნიმუში. რუბრიკებს კათედრა არგებს კონკრეტულ დავალებას, აცნობს მოსწავლეს და იყენებს დავალებაზე მუშაობის პროცესში. როგორც გასაუბრებიდან გამოჩნდა კათედრა დიდ ყურადღებას აქცევს შეფასების ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმიც.

2.2.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, სასწავლო პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულების ვერიფიკაცია. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლამ ვერიფიკაციის წესის შესაბამისად შექმნა ვერიფიკაციის ჯგუფი (ბრძანება N 2-38, 26 მარტი, 2025 წ. და ბრძანება N2-39, 28 მარტი, 2025წ). სკოლა აქტიურად გეგმავს აღნიშნული წესისა და სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი გეგმის მიხედვით იმუშაოს ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ სხვადასხვა მონაწილესთან, მათ შორის, მოსწავლეებთან ერთად.

2.2.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო შენახვის მექანიზმი, კერძოდ, არქივზე პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა. დოკუმენტაციის შესაბამისი ინახება სკოლის პირად საქმეებსა და შეფასების ელექტრონულ სისტემაში, მატერიალური ნაწილი კი (პროდუქტები თუ სხვ.) სხვადასხვა სივრცეში (მათ შორის, კათედრის კაბინეტებში). 2020 სასწავლო წლამდე სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხორციელდებოდა მატერიალური სახით, რომელიც დღემდე დაცულია და ინახება სკოლაში. 2021 წლიდან კი სრულად ჩანაცვლდა ელექტრონული ჟურნალით. სკოლაში შეფასების ამსახველი მტკიცებულებები რამდენიმე ფორმით გვხვდება: ერთი მხრივ, მე-5 კლასის მე-2 სემესტრისა და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასებები ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში, ხოლო ისინი დაარქივებულია სასკოლო სივრცეში, მოსწავლეთა შეფასება ასევე აისახება შეფასების ელექტრონული სისტემაში, ელექტრონულ სისტემაში ასევე ასახულია 1-დან მე-5 კლასის პირველი სემესტრის განმავლობაში ასახული განმავითარებელი შეფასებები, შეფასების მატერიალურ და/ან ციფრულ მტკიცებულებებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინახავენ და იცავენ მასწავლებლები და დამრიგებლები, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოძიება.

2.2.1 (5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების/შემუშავების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა (2024–2025);
3. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
4. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
5. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების);
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (სსსმ მოსწავლეებისთვის ჩათვლით);
7. კათედრის სხდომის/სამუშაო ოქმები;
8. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
9. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;
10. შემაჯამებელი დავალებები (ნიმუში, შეფასების რუბრიკა, მოსწავლეთა ნამუშევარი, ანალიზი);

11. შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
12. შეფასების სისტემის ანალიზი / შედეგების ანალიზი;
13. შესაბამისი ბრძანებები (ბრძანება N2-38 და N2-39);
14. საგნობრივი კურიკულუმები საფეხურების მიხედვით *(უცხოური ენები);*
15. გაკვეთილებზე ურთიერთდაკვირვების მასალები და რეფლექსიები *(უცხოური ენები);*
16. საბაზო და საშუალო საფეხურის შეფასების რუბრიკები *(ესთეტიკური აღზრდა);*
17. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი *(მათემატიკა);*
18. მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი სამუშაო *(მათემატიკა);*
19. შემაჯამებელი სამუშაოს შეფასების სქემები *(მათემატიკა);*
20. საგნობრივი კურიკულუმები *(ფიზიკური აღზრდა და სპორტი);*
21. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები *(ფიზიკური აღზრდა და სპორტი);*
22. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (I–VI კლასები) *(კომპიუტერული ტექნოლოგიები);*
23. შემაჯამებელი დავალების ანალიზი და შესაბამისი შეფასების რუბრიკა *(კომპიუტერული ტექნოლოგიები);*
24. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები *(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. აგრეთვე მასწავლებლები იყენებენ დამხმარე სასწავლო რესურსებს, როგორც ელექტრონულ რესურსებს(სკოლას გააჩნია კარგად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია),el.ge, buki.ge,mastswavlebeli.ge, edu.aris.ge, CK-12,Khan-Academy,National Geographic Kids,Visible body, ისე ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიებს, სადაც მოსწავლეებს სხვადასხვა ექსპერიმენტების ჩატარების და „კეთებით სწავლის“ მეთოდის დაუფლების საშუალება აქვთ. ლაბორატორიები აღჭურვილია მულაჟებით, თვალსაჩინოებებით, საჭირო პრეპარატებით,,

	ქიმიური რეაქტივებით, ხელსაწყოებით, სველი წერტილით,რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს შუალედური სასწავლო მიზნები(კომპლექსური დავალებები) დაგეგმონ ისე, რომ შესაქმნელი პროდუქტი და მისკენ მიმავალი აქტივობები დაფუძნებული იყოს სასკოლო ექსპერიმენტების ჩატარებაზეც.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მითითებულია სხვადასხვა დამხმარე სასწავლო რესურსები, როგორიცაა: ინტერნეტ რესურსები, მათ შორის: სტატიები, რუკები, გრაფიკები, დიაგრამები, ანიმაციები, ვიდეოფილმები და ა. შ. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, უცხოური ენის მასწავლებლები სარგებლობენ ძირითადი რესურსებით (გრიფირებული სახელმძღვანელოები) დამატებითი რესურსებით, მაგ, სულაკაურის გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურა. სასწავლო პროცესში იყენებენ ციფრულ და ელექტრონულ რესურსებს; აქვთ ლეპტოპი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებს უქმნიან შესაბამის გარემოს მოსმენის უნარის განსავითარებლად. გაკვეთილების მსვლელობისას სთავაზობენ საგანმანათლებლო ვიდეოებს განსახილველად და დავალებების უკეთ გასააზრებლად. მოსწავლეთა მიერ მომზადებულ პრეზენტაციებს და ნამუშევრებს პროექტორის საშუალებით წარმოადგენენ აუდიტორიის წინაშე.
ესთეტიკური აღზრდა	მასწავლებლები იყენებენ როგორც გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ შეთავაზებულ და პირადად კათედრის მიერ შერჩეულ დამხმარე რესურსებს. როგორც მტკიცებულებებზე დაყრდნობით ჩანს და თავად მასწავლებლებმაც აღნიშნეს შეხვედრის დროს, ხშირია სასწავლო მიზნებისთვის თავად მოსწავლეების შექმნილი რესურსების გამოყენებაც(მაგ. ელ. პრეზენტაცია, ვიდეორგოლი, საინფორმაციო ხასიათის პოსტერი/პლაკატი და ა.შ.);

სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს გრიფირებულ სახელმძრვანელოებს და ელექტრონულ რესურსებს, აქვს ინტერნეტი, აუდიო და ვიდეო რესურსის გამოყენებისთვის შესაბამისი აპარატურა.
მათემატიკა	სასწავლო პროცესში იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრო რესურსებს, ვიდეო გაკვეთილებს, მოსწავლეთა მიერ შექმნილ თვალსაჩინოებებს, საპრეზენტაციო მასალებს.
სპორტი	სკოლა აღჭურვილია მრავალრფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულიმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. სკოლა ძალიან ხშირად აწყობს თემატურ ექსკურსიებსა და აქტიურად რთავს მოსწავლეებს სხვადასხვა სკოლის გარე პროექტებში, რომელში მონაწილეობითაც მოსწავლეებს უჩნდებათ წვდომა დამატებით რესურსებსა და ინფორმაციაზე რაც თავის მხრივ მიემართება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში არის კარგი მატერიალური რესურსი ახალი კომპიუტერებით აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც მოწყობილი ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტქსელში. თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს რომ სულ სკოლას აქვს 9 პროექტორი, 10 პრინტერი, 25 პერსონალური კომპიუტერი და 53 ლეპტოპი. კურიკულუმებში წარმოდგენილია ელექტრონული რესურსები ბმულების სახით, რაც იძლევა დაგეგმილი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ანალიზმა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების

	ეფექტიანობასა და მოსწავლეთა მიერ მიზნობრივი შედეგების მიღწევას. რესურსებში წარმოდგენილია ელექტრონული ბმულები, ვიდეო რესურსები და სახელმძღვანელოები.

2.2.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც მორგებულია ყველა მოსწავლის საჭიროებაზე. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონულად და მატერიალურ ფორმატში (ბიბლიოთეკაში) და გადის შეფასებას/ვალიდაციას მათი ეფექტურობისა და მიზანშეწონილობის დასადგენად. სკოლამ ჩაატარა კვლევა თემაზე: „სასწავლო პროცესში მასწავლებელთა მიერ ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ“, რომლის ფარგლებშიც მოიძია მოსაზრებები და საჭიროებები, მათ შორის მშობელთა ჩართულობით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ადაპტირებული რესურსებით, რომლებიც მოწმდება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისობის თვალსაზრისით. რესურსოთახი აღჭურვილია ინკლუზიური სწავლებისთვის საჭირო დამხმარე რესურსებით, რომელთა გამოყენება წინასწარ დაგეგმილია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან ვიზუალურ, ვერბალურ და პრაქტიკულ რესურსებს (ფოტო/ვიდეო მასალა, ანიმაცია, დიაგრამა, მულაჟი, კომიქსი და სხვა), რომლებიც მოწმდება იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო მიზნებს და გააუმჯობესოს მოსწავლეთა კონცეპტუალური აღქმა. სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც გამოიყენება ამ რესურსების ეფექტურად დანერგვისათვის. მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ვერბალურ რესურსს, ასევე სთავაზობენ ისეთ რესურსებს, რომელთა გამოყენებითაც მასალას უკეთ აღიქვამენ და გაიაზრებენ: ფოტო/ვიდეო მასალა, ანიმაცია, დიაგრამა, მულაჟი, ნახატი,ილუსტრაცია, კომიქსი, ცხრილი და სხვა. ამისთვის სკოლას აქვს გამართული კომპიუტერული ლაბორატორია.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, რესურსები ლოგიკურადაა შერჩეული და მიმართებაშია თითოეული თემის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან, ასევე მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების სანდოობას.
უცხოური ენები	დამხმარე რესურსების გამოყენების შესახებ არსებობს ზოგადი ჩანაწერი კათედრის ოქმში.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის პედაგოგები აქტიურად გამოიყენებენ დამხმარე რესურსებს, რომელიც გაწერილი აქვთ კათერდის ოქმში ერთ-ერთ საკითხად. დამხმარე რესურსები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ვალიდირებულია.
სახელმწიფო ენა	კათედრაზე დამატებით რესურსებს ირჩევენ კათედრაში შემავალი პედაგოგების ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს
მათემატიკა	კათედრის წევრები თანხმდებიან დამხმარე სახელმძღვანელოს შერჩევაზე და სკოლა უზრუნველყოფს მითითებული რესურსის ვალიდაციას.
სპორტი	სკოლას უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კათედრებზე მუშაობისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს და ასევე ერთობლივად უზრუნველყოფენ ამ რესურსების ვალიდაციასაც.
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

2.2.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფილია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და კომპიუტერული ლაბორატორიებით. ლაბორატორიები ძირითადად აღჭურვილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მისაღწევად საჭირო რესურსებით, თუმცა მათ გამართულად და სრულფასოვნად გამოყენებას ზოგჯერ ხელს უშლის ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ხასიათის გამოწვევები. დაცულია უსაფრთხოების და ჰიგიენური ნორმების ძირითადი მოთხოვნები, თუმცა დასაფიქსირებელია არსებული სისტემების გაუმჯობესების საჭიროება. რესურსების ხელმისაწვდომობა ძირითადად შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და რესურსების რეგულარულ მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. რჩევა: სასურველია, სკოლამ მოაწესრიგოს ნარჩენების მართვის სისტემა, რათა შესაძლებელი გახდეს კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა საჭირო ქიმიური რეაქციის უსაფრთხოდ ჩატარება.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სამოქალაქო კლუბი აღჭურვილი არის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია თითოეული მოსწავლისთვის, ზემოაღნიშნული კი

	უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების განხორციელებისთვის კათედრა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური (სახელმძღვანელოები, ელექტრონული მოწყობილობები, ინფრასტრუქტურა) რესურსებით, რომლებზეც მოსწავლეებს აქვთ წვდომა და აქტიურად იყენებენ თავიანთი მიღწევების გასაზიარებლად.
ესთეტიკური აღზრდა	კათერდაზე ფუნქციონირებს შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი კაბინეტი და შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელიც განსაზღვრულია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.
სახელმწიფო ენა	სკოლა, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს კათედრებს მოსწავლეების საჭიროებაზე მორგებული მატერიალური რესურსებით, ითვალისწინებს მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.
სპორტი	სკოლა აღჭურვილია საკმაო რაოდენობის მატერიალურ/ტექნიკური რესურსით რომელიც საჭიროა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. ასევე, სკოლის მასწავლებლები აქტიურად ქმნიან თავიანთი ხელით სხვადასხვა სასწავლო რესურსს, რომელთაც წარმატებით იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. თუმცა, ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია მოქმედი არც სკოლის დარბაზი და არც გარე სპორტული მოედანი. **სკოლას არ აქვს სპორტული მოედანი ან დარბაზი, რაც ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას სამივე საფეხურზე. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, საიდანაც ირკვევა, რომ გეგმავს სპორტული დარბაზის**

	ან ღია სპორტული მოედნის მოწყობას 2027 წლის 05 ივლისამდე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღმოფხვრას აღნიშნული გარემოება მითითებული ვადების შესაბამისად.
ტექნოლოგიები	სკოლაში არის მატერიალური რესურსი - კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით კომპიუტერი, პროექტორი და სხვა., რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი და დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას.

2.2.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი მასწავლებლები რომლებიც ფლობენ შესაბამის გამოცდილებასა და კვალიფიკაციას, რაც ასევე დასტურდება მასწავლებლების პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების შესწავლით, ასევე ელექტრონული ბაზების გადამოწმებით. სკოლაში მუშაობს საგნობრივი მენტორი და სპეციალისტი. ყველა საგანს ასწავლის სპეციალიზებული და კვალიფიციური მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) პედაგოგი ასისტენტთან ერთად, სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკარის დამხმარე, IT სპეციალისტი. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ადამიანური რესურსების მართვის.

2.2.2 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;

2. სასკოლო კურიკულუმი;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი;
5. მოსწავლეების შექმნილი რესურსების ამსახველი მტკიცებულებები *(ესთეტიკური აღზრდა);*
6. უცხოური ენების კათედრის ოქმი N1 *(უცხოური ენები);*
7. საბაზო საფეხურის კათედრის ოქმი N1;
8. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
9. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
10. მასწავლებლის პორტფოლიო;
11. მასწავლებლის პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და პოლიტიკა განსაზღვრულია კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. როგორც ზემოთ აღვწერეთ, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელშიც შინაარსობრივად 2.3.1.1. ინდიკატორის საკითხებსაც მოიაზრებს. ვინაიდან პირველად ავტორიზაციაზე აღნიშნული ინდიკატორი პროცესის სიღრმისეული შეფასების მიმართულებით არ ფასდება, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესრულებულად მიიჩნევა. ამასთან, სკოლამ ინტრვიუების პროცესში გამოხატა მზაობა და გააზრება, მოტინორინგისა და შეფასების სამომავლო გეგმებისა და მნიშვნელობის გააზრების მიმართულებით. ამასთან, სკოლას დაგეგმილი აქვს დიაგნოსტიკური წერა ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში, რომელიც შეესაბამება 2.3.1.1. ინდიკატორს.

2.3.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის შესახებ შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მონიტორინგისა და შეფასების ფორმალიზებული პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა სკოლას სრულად გააზრებული აქვს მისი საჭიროება და მნიშვნელობა და ამასთან, პრაქტიკაში იყენებს მის ელემენტებსაც. სკოლის ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ სისტემური მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უმნიშვნელოვანესია, როგორც პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისთვის, ასევე ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიისთვის. ამ მიზნით, სკოლა უკვე იცნობს შესაბამისს ინსტრუმენტებს - მათ შორის დოკუმენტური ანალიზის, თვითშეფასების ფორმების, მოსწავლეთა და პედაგოგთა ჩართულობით განხორციელებულ დაკვირვებისა და უკუკავშირის მექანიზმებს. ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს შიდა რესურსების თავმოყრასა და გამართვაზე და გეგმავს, რომ მომდევნო სასწავლო წლის განმავლობაში დაიწყოს მონიტორინგისა და შეფასების სისტემური დანერგვა, რაც უზრუნველყოფს უკეთ მართულ პროცესებსა და გადაწყვეტილებების, მათ შორის კურიკულუმთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, მტკიცებულებებზე დაყრდნობას.

2.3.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები სკოლის განვითარებაში უკავშირდება სასკოლო საზოგადოების წევრების - მათ შორის მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების - მხარდაჭერასა და დახმარებას. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლის წარმომადგენლები (ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის ჯგუფი) იაზრებს, რომ ეს პროცესი არ არის მხოლოდ კონტროლის მექანიზმი, არამედ მნიშვნელოვანია პროფესიული ზრდისთვის, სასკოლო კულტურის გაჯანსაღებისა და საერთო მიზნების მიღწევის ხელშეწყობისთვის. მონიტორინგისა და შეფასების შედეგად სკოლაში გამოიკვეთება ის მიმართულებები, სადაც საჭიროა დამატებითი რესურსი, ტრენინგი ან ცვლილება.

2.3.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
3. სასკოლო კურიკულუმი;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
6. განმსაზღვრელი შეფასების მასალები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლა აცნობიერებს შეფასების პროცესის როლს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში და მის საფუძველზე მიზანმიმართული ცვლილებების საჭიროებას. შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება კურიკულუმში მიზნობრივი ცვლილებების შესატანად, რასაც თან ახლავს საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობა და პრიორიტეტების განსაზღვრა. მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან წყაროებს და ხელმძღვანელობს ჰოლისტური მიდგომის პრინციპებით. მოსწავლეთა შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საბოლოო პროდუქტით, არამედ შეფასება ხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესშიც, გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი ინსტრუმენტები, მათ შორის რუბრიკები, დაკვირვება, ზეპირი/წერილობითი ნამუშევრები და ჯგუფური მუშაობის ანალიზი. შესაბამისად, შეფასების პრაქტიკა მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წყაროებს, პროცესზე ორიენტირებულ მიდგომებს და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, რაც არსებითად ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხობრივ გაუმჯობესებას სკოლაში.

2.3.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სსიპ მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით ხდება. როგორც მტკიცებულებების ანალიზით, ასევე ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასება განახორციელოს სხვადასხვა მიმართულებით - მაგ. მოსწავლის ჩართულობა, მასწავლებლის მიერ ინსტრუქციების მიცემა, სასწავლო მასალის მკაფიოდ მიწოდება და რესურსების გამოყენება. მასწავლებლები რეგულარულად იღებენ უკუკავშირს როგორც მოსწავლეებისგან, ასევე კოლეგებისა და სკოლის ადმინისტრაციისგან. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ შეფასების შედეგები არ რჩება მხოლოდ ფურცელზე, არამედ მათი გათვალისწინებით ხდება სწავლების დაგეგმვა და მოდიფიცირება. ინტერვიუებში სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ცდილობენ, შეფასების პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, წინარე ცოდნა და გარემო პირობები. მათთან საუბარში იკვეთებოდა იმის გააზრება, რომ სკოლის კოლექტივისთვის შეფასება არა მხოლოდ მიღწევების დაფიქსირებაა, ასე ვთქვათ, არამედ - სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებაა.

2.3.2 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები, მათ შორის გამოკითხვა, ინტერვიუ და დაკვირვება (თუმცა, ჩანს, რომ აღნიშნული მეთოდების გარდა სკოლის წარმომადგენლები სხვა მეთოდებსაც იცნობენ). შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მასწავლებლები, ხოლო მშობლების ჩართულობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მონაცემები გამოიყენება როგორც გაკვეთილების, ისე ზოგადი სასწავლო პროცესის ანალიზისთვის, რაც სკოლას აძლევს საშუალებას, შეფასება დაუკავშიროს სწავლების გაუმჯობესებას. სკოლაში არის პრაქტიკა, როცა გაკვეთილის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ავსებენ მოკლე რეფლექსიის ფორმებს, სადაც პასუხობენ კითხვებს: რას ისწავლეს, რა იყო მათთვის საინტერესო ან გაუგებარი. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ ჩატარდა საჭიროებათა კვლევაც, რომელშიც ჩართული იყვნენ მასწავლებლები.

2.3.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის წარმომადგენელთან შეხვედრებისა და წარმოდგენილი მასალების (მტკიცებულებების) ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სოციო-ემოციურ ფონს და ზოგად უნარებს. მასწავლებლები აფიქსირებენ მზაობას, რომ გააანალიზონ, როგორ მოქმედებს ეს ფაქტორები მოსწავლის შედეგებზე, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასებისას. სკოლაში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მოტივაციას, ყოფაქცევას და დასწრებას, თუმცა ამ მიმართულებებით მიწოდებული უკუკავშირი ზოგჯერ ეყრდნობა ზოგად შეფასებებს და არა კონკრეტულად გამოკვეთილ მახასიათებლებს. საერთო ჯამში, სკოლა სწორად აღიქვამს შეფასების მნიშვნელობას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და კონკრეტული ნაბიჯებიც გადადგმულია, თუმცა მნიშვნელოვანია პროცესები გავნითარდეს შეფასების კონკრეტულობის, შედეგების ანალიზისა და მათი მიზნობრივი გამოყენების მიმართულებით.

2.3.2 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი);
2. სასკოლო კურიკულუმი;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. დამრიგებლის პორტფოლიო;
5. უკუკავშირები/შეფასებები მოსწავლეებისგან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში მკაფიოდაა აღწერილი, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება ეფუძნება მიმდინარე პროცესების ანალიზს და რევიზიას. საჭიროებათა განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება გათვალისწინებულია როგორც მონაცემთა შეგროვების ეტაპზე (მაგ. კათედრების შეხვედრები, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა), ასევე კურიკულუმის ყოველწლიური განახლების პროცესში. მეთოდოლოგია ასახავს მზაობას, რომ კურიკულუმის განვითარება მოხდეს სწავლების, ჩართულობისა და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, რაც თავისთავად ქმნის საფუძველს სარეკომენდაციო პაკეტის ფორმირებისთვის. რეკომენდაციათა ჩამოყალიბების პროცესი ამ ეტაპზე მეტწილად დოკუმენტშია გაწერილი და საჭიროებს მეტ კონკრეტიკაციას პრაქტიკულ დონეზე, თუმცა სკოლაში მზაობა და საფუძველი შესამჩნევია.

2.4.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში არსებული კურიკულუმის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის რევიზია წინა წლის პროცესის ანალიზზე დაყრდნობით ხორციელდება (მუხლი 6.1). კონკრეტულად გაწერილია, რომ შეფასება და გადამუშავება ეფუძნება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის ანალიზს, აკადემიური შედეგების შეფასებას, მშობლების და მასწავლებლების ჩართულობის დონეს, დაკვირვებას თუ სხვ. ამ ანალიზზე დაყრდნობით კურიკულუმი ყოველწლიურად უნდა განახლდეს (მუხლი 3 და მუხლი 6.1). მართალია ეს პრაქტიკა აღწერილია მეთოდოლოგიაში და მისი პროდუქტი და მტკიცებულებები (მაგალითად, რევიზიის ანგარიშები) ჯერ არ არსებობს, თუმცა პირველადი ავტორიზაციის ეტაპისთვის აღწერილი მიდგომა შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას.

2.4.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. კათედრის შეხვედრების და განხილვების მტკიცებულებები;
3. ინტეგრირებული გაკვეთილის რეფლექსია და უკუკავშირი;
4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
5. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი : 24/07/2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

/მაია ლაპიაშვილი/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თორნიკე შევარდნაძე:

ციცინო გოზაძე:



მანანა ვარდოსანიძე:



ქეთი ცირეკიძე:

მანანა შეროზია:

ქეთევან ლარცულიანი:

მაია დოლაშვილი:

მარინე ჩახვაშვილი:

საბა დარსაველიძე:

ეკატერინე ხუციშვილი: